ღალატი ერის წინაშე

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 7 აგვისტო, 2014 წელი.

№154 (7535)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოლდვერი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

სააკაშვილის და მისი კასტის დანაშაული პროკურატურის ბრალდებებში ვერ ჩაეტევა, ესაა ღალატი ერის წინაშე, ესაა საუკუნის დანაშაული...

მთელი ქვეყანა უნდა გამოვიდეს მოწმედ და პასუხი მოსთხოვოს ნაცებს წამებისა და ღირსების აყრისთვის

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილს, ივანე მერაბიშვილს, ზურაბ ადეიშვილსა და გიგი უგულავას ბრალი წაუყენა 2007 წლის 7 ნოემბრის მომიტინგეთა მასობრივად დარბევის, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის და ბადრი პატარკაციშვილის ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდების გამო. სასჯელი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე.

არადა, სააკაშვილის ბანდის მიერ მთლიანად ერს 10 წელი ჰქონდა მისჯილი თავისუფლების აღკვეთა ციხით თუ უციხოდ, ღატაკი და უქონელი მოსახლეობა, ტანჯული და დაჩაგრული განა ციხეში არ იყო? სიღარიბე გახლდათ ამ პოლიტიკური კასტის მართვის მეთოდი, თუმცა, ბევრმა მილიონობით ქართველმა საზღვარგარეთ გაქცევით უშველა თავს, ეს იყო ერის გენოციდი, მისი თვითმყოფადობის წინააღმდეგ მიმართული ათწლიანი ბრძოლა, მას დავუმატოთ პროვოკაციული ომის გამო ძირძველი კუთხეების დაკარგვა და ათასობით გაუბედურებული თანამოძმე.

ეს იყო ერის ღალატი, მაგრამ ეს ერთი სიტყვა ვერ დაიტევს ამ დანაშაულს, როგორც პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალდება და სასჯელი ვერ ასახავს მას.

რაც შეეხება ხალხის დარბევა-დასახიჩრება-ჩახოცვას, არც 26 მაისს ადგა კარგი დღე ქართველ კაცს, მკვდრებს სახურავებზე აწყობდნენ და მტკვარში ყრიდნენ, ქართველი კაცი მათთვის მხოლოდ გვამი იყო, აკი „მინისტრი“ მერაბიშვილი ურცხვად გაიძახოდა თავისი ბანდფორმირებების წინაშე – ორი გვამი მჭირდება სასწრაფოდ, პრემია შესაბამისი იქნებაო.

იხ. მე-2 გვ.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

სააკაშვილის და მისი კასტის დანაშაული პროკურატურის ბრალდებებში ვერ ჩაეტევა, ესაა ღალატი ერის წინაშე, ესაა საუკუნის დანაშაული...

(პირველი გვერდიდან)

როცა ხელისუფლება კრიმინალების ხელში იყო, სხვა მოლოდინი რა უნდა გვქონოდა – გაივსო ციხეები უდანაშაულო ადამიანებით. 5-დან 8 წლამდე წვრილმანი ქურდობისთვის, ჩხუბისა თუ ხულიგნობისთვის ჰქონდათ ბავშვებს, ქალებს, ახალგაზრდებს მისჯილი. არადა, ამ ქვეყნის დამაქცევარებსაც, მოღალატეებსაც იმდენივეს უსჯიან, რომლებიც ღმერთმა ნუ ქნას, თავიანთი ძველი პატრონის დახმარებით ისევ თუ მობრუნდნენ, სისხლის კალოს დაატრიალებენ. ეს ხომ ჩვენი საკანონმდებლო ბაზის კაზუსია, პარადოქსია.

ბიუჯეტს ვასრულებდითო, გაიძახიან, მერე და რითი, ბიზნესის რეკეტით, დაჭერით და კოლოსალური თანხის შეწერით. 300 ათასი პრობაციონერის თანხებით, უსაშველო ჯარიმებით (განსაკუთრებით სავაჭრო ობიექტებში).

ეს იყო ქვეყნის, ხალხის მტრები – „ნაცები“, როგორც პარტია, სახელმწიფოს შეეზარდა და მთელ ქონებას დაეპატრონა, ყველაფერი გაყიდა. დემოკრატიის მანტიით დიქტატურა მძვინვარებდა ქვეყანაში, რაც მთავარია, სრულდებოდა ოკეანის გაღმელთა დავალება, ომი რუსეთთან და მის სანაცვლოდ მილიონობით პრემიები ორ საქმეს აკეთებდნენ – ვითომ პატრიოტების მამულიშვილებად წარმოჩენა და ქრთამის აღება რუსეთის აგრესორად წარმოჩენისათვის, რასაც, სამწუხაროდ, წამოეგო ზესახელმწიფო.

ვითომ შენდებოდა ქვეყანა – გზები, შადრევნები, კაზინოები, სასტუმროები... ფასადს მიღმა კი გმინავდა ცრემლიანი საქართველო. შეუტიეს ქრისტიანულ რწმენას – ქართველობის გენეტიკურ იდენტურობას, რომელიც კრავდა და აერთიანებდა ქვეყანას მორალით, ზნეობით, ტრადიციებით, ქართველი კაცის უნიკალური ხასიათით. ტოვებდა ქვეყანას ქართველობა... ქვეყანა ტრანზიტად აქციეს, უცხოელთა ბიზნესის ნაწილად, ტრასად თავისი მომსახურე პერსონალით, მხოლოდ ასეთ ფირმებში, კომპანიებში, მომუშავეებს ჰქონდათ ცხოვრების პირობები და დანარჩენ საქართველოზე არავინ ფიქრობდა, გრძელდებოდა შეტევა სამი მიმართულებით „მამული, ენა, სარწმუნოება“, თუმცა, კანონში არაა ასეთი მუხლები – **სასჯელი ერის განადგურებისთვის, მეცნიერების, ინტელიგენციის მოსპობისათვის, ზნეობრივი და ფიზიკური დეგრადაციისთვის, ათასობით დანგრეული ოჯახისთვის, უსახლკაროდ დარჩენილებისთვის, გაჭირვების გამო ადამიანთა დამნაშავეებად ჩამოყალიბებისათვის, ტერორისთვის, ყველა პარამეტრით ღირსების აყრისათვის, ხალხის გამათხოვრებისთვის, ქონების წართმევისთვის, შიმშილის ზღვარზე მიყვანისთვის და ხმის ამოღების შემთხვევაში, როგორც რუსის აგენტებისთვის ცხვირპირის გაერთიანებისთვის (მტრის ხატი ახლაც მუშაობს).**

ღმერთი გვაერთიანებდა, ეშმაკი გვყოფდა, მთელი ქვეყანა ამ ერთ პოლიტიკურ ბანდას თუ კასტას ემსახურებოდა, სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია, ჯარი ამ კრიმინალური ხელისუფლების გამყარებას ემსახურებოდა. არადა, დღეს სწორედ ამ ორგანოების სამართლებრივი ავტორიტეტი დგას კითხვის ნიშნის ქვეშ – დაიჭერენ სააკაშვილს, მთავარ დამნაშავეს? ვერ დაიჭერენ? გამოდის, იგი კანონს გარეთაა და მხოლოდ მისგან გაუბედურებული ხალხისთვის არსებობს სასჯელი-ხალხისთვის, რომელიც სიდუხჭირეშია, ღირსებაყრილია, და ესაა ყველაზე დიდი ბრალდება, ხალხი სამართალს ითხოვს და, თუ საჭირო გახდა, იგი ქუჩაში გამოვა, პასუხს მოსთხოვს ერის მოღალატეებს, რომლებსაც თავგამოდებით იცავენ ამერიკელი და ევროპელი ლობისტები. ესაა დემოკრატია? ესაა ქვეყნის დამოუკიდებლობა? სამართალი ვერ დაგვიცავს, პასუხი ვერ მოგვითხოვია მართლაც გაუგონარი, საუკუნის დანაშაულისთვის. შემირცხვენია ის საქართველო, რომელიც სააკაშვილის საპირწონეა და რომლის დაჭერაც, ზოგიერთი „ბრძენი“ პარლამენტარის არ იყოს, საქართველოს დემოკრატიულ იმიჯს დააზარალებს.

ევროპამ უკეთ იცის ჩვენი ტკივილი და გასაჭირი? რომელ ყოფილ პრეზიდენტს იცავს, ვადის ამოწურვის შემდეგ ერთი დღე რომ არ დარჩენილა ქვეყანაში და ამერიკიდან ცდილობს აქ სიტუაციის არევას, რამეთუ იცის არჩევნებით ვერასოდეს ვერ მოვა ხელისუფლებაში.

ქართველი ხალხი მას არ აპატიებს საქართველოს მკვლელობის ცდას, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ქრისტიანული რწმენის, შუშანიკის, ქეთევანის, თავდადებულის, ასი ათასი მოწამის, დავით აღმაშენებლის და თამარის, „ვეფხვისტყაოსნის“ შემქმნელი საქართველოს მკვლელობის, გაყიდვის განადგურების ცდას და საერთოდ ქვეყნის ცდისპირად გადაქცევას.

ერის მოღალატეთა, უზნეოთა დასჯა გახდება ზნეობის, სამართლიანობის, სამართალდამცველთა მიერ სამართლებრივი სახელმწიფო მისიის აღდგენის დასაწყისი. ამ დღეს 9 წელი ელოდა ქართველი ხალხი.

ადამიანები გულმავიწყები ვართ და მალე ვივიწყებთ სიკეთეს, არადა, რომ არა ბიძინა ივანიშვილის თავგანწირვა (ბადრი პატარკაციშვილი ხომ შეეწირა ქართველ ხალხს), ვინ იცის, განამ იბატონებდნენ ეს მართლაც ჯოჯოხეთის მოციქულები, ვიდრე საბოლოოდ არ გადააქცევდნენ ქვეყანას სოდომ-გომორად და მთლიანად ერს არ მოუვლენდნენ ღვთის რისხვას!

რომ არა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე აღმაშენებელი, საბოლოოდ წაიშლებოდა ღვთიურობის კვალი ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში და არავინ იქნებოდა წინააღმდეგობის გამწევი!

დიახ, 1 ოქტომბერს თავი გადადო მთლიანად ერმა, როგორც იმ ასი ათასმა მოწამემ – რწმენისა და მომავლისთვის წამებულებმა.

მთელი ქვეყანა უნდა გამოვიდეს და მორალური სასამართლო გაუმართოს, პასუხი აგებინოს ყველაფრისთვის სააკაშვილს და მის ბანდას, რომლის დანაშაული, როგორც აღვნიშნე, პროკურატურის ბრალდებებში ვერ ჩაეტევა, ესაა ღალატი ერის თვითმყოფადობის წინაშე, ესაა საუკუნის დანაშაული, ამიტომაც ყველანი უნდა გამოვიდეთ როგორც მოწმე და დავდგეთ სამართლიანობის დასაცავად, ერის გადასარჩენად.

კრიმინალების ხელისუფლებაში მოყვანისათვის, როგორც ამომრჩეველმა-ქართველმა ხალხმაც უნდა აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა. შეიძლება, ამათ პარტიასთან კოჰაბიტაცია? შეიძლება, ეს პარტია იყოს ოპოზიცია და ჭკუის მასწავლებელი?

20 წელი შეცდომებზე ვიარეთ, საკმარისი გაკვეთილებია დასკვნების გასაკეთებლად, როგორც ხალხისთვის, ისე ახალი ხელისუფლებისთვის, რათა გადავარჩინოთ ჩვენი მიწიერი და ღვთიური სამშობლო.

ზურაბ აბრალავა,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.
ფოთი.

◎ თეთრი რაში არ დაიდგამს უნაგირს?

სიყვარულის, სიწმინდის, ერთგულების სიმბოლო პატრიარქისგან

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიწვევით, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სნოში იმყოფებოდა.

პრემიერმა უწმინდესის მშობლიური სოფელი მოინახულა და დღე პატრიარქთან გაატარა.

მთავრობის მეთაურმა და კათოლიკოს-პატრიარქმა ერთად დაათვალიერეს ლარსის გამშვები პუნქტი და დარიალის ხეობაში ახლად გახსნილი ეკლესია მოილოცეს. დამშვიდობებისას უწმინდესმა ირაკლი ღარიბაშვილს თეთრი ცხენი აჩუქა.

◎ ინფორმაცია

მინისტრმა ელჩებს ეკონომიკური პროცესების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა

ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ამბასადორიალის მონაწილე ელჩებს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შესახებ ინფორმაციას მიაწოდა.

როგორც ხადურმა ჟურნალისტებს განუცხადა, ეს არის დაგეგმილთან შედარებით ეკონომიკის მაღალი, 6 %-იანი ზრდა, რაც ბიუჯეტში მხოლოდ საგადასახადო შემოსავლების მობილიზების თვალსაზრისით არსებულ პროგრესს წარმოადგენს.

– გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, რაშიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნების წარმომადგენლების, ელჩების მონაწილეობა, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

აფრიკაში წამსვლელთა საყურადღებოდ

საქართველოს ელჩი ეთიოპიაში ვახტანგ ჯაოშვილი ებოლას ვირუსის გავრცელების გამო საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ დასავლეთ აფრიკის რეგიონის ქვეყნებში გამგზავრებისგან.

როგორც ჯაოშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ებოლას ვირუსი დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში ძალიან სწრაფად ვრცელდება. განსაკუთრებით კი სამ ქვეყანაში სიერა-ლეონეში, გვინეასა და ლიბერიაში.

დიპლომატის თქმით, ფატალური შედეგის რაოდენობამ 700-ს გადააჭარბა.

– სამწუხაროდ 90%-ში მკურნალობა არაეფექტურია. გამოცხადდა კარანტინის ზონები. ბევრმა ქვეყანამ უკვე დახურა სკოლები. სხვადასხვა ქვეყნებში ამოწმებენ დასავლეთ აფრიკიდან ჩასულ ბავშვებს. ჩვენ მოქალაქეებს მოვუწოდებთ განსაკუთრებული საჭიროების არქონის შემთხვევაში არ ეწვიონ ამ ქვეყნებს, განსაკუთრებით სერა-ლეონეს, გვინეას და ლიბერიას, – განუცხადა ჟურნალისტებს ვახტანგ ჯაოშვილმა.

გაზსადენის ზესტაფონი-ქუთაისის მონაკვეთი მალე გაიხსნება

მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენის „ზესტაფონი-ქუთაისის“ 700 მმ დიამეტრის 23კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროცესი გრძელდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან აცნობეს, სამშენებლო სამუშაოების 81% უკვე შესრულებულია.

მათივე ინფორმაციით, აღნიშნული მონაკვეთის რეაბილიტაცია არსებული 500მმ დიამეტრის დაზიანებული მილების, ასევე მდინარეებისა და ხევების პრობლემური გადაკვეთების გამოცვლის აუცილებლობამ განაპირობა.

„ზესტაფონი-ქუთაისის“ მონაკვეთის მშენებლობა აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტის IV ფაზის ფარგლებში ხორციელდება და მას აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) აფინანსებს.

„ზესტაფონი-ქუთაისის“ 23კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის კონტრაქტის ღირებულება 4 496 765,47 აშშ დოლარია.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სასაზღვრო სექტორი „კარწახი“ გახსნა

ახალციხეში სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის მე-2 სამმართველოს მე-6 სექტორ „კარწახის“ შენობა საზეიმოდ გაიხსნა.

გახსნის ცერემონიაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. ღონისძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ. გახსნის ცერემონიის დასრულების შემდეგ მინისტრმა სტუმრებთან ერთად საქართველო-თურქეთის საზღვარზე მშენებარე სასაზღვრო გამტარი პუნქტი „კარწახი“ დაათვალიერა.

კოდორის ხეობის ტრაგედია

„დაბომბეთ სოფელი ჩხალთა, დაადუღეთ, გადაბუგეთ ყველაფერი, ემზარ კვიციანისა და ნორა არღვლიანის სახლებიდან არაფერი დარჩეს“, – ასეთი ბრძანება მიიღეს მფრინავებმა 2006 წელს, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ კოდორში ძართული ჯარი შეიყვანა და საბოლოოდ კოდორი უბრძოლველად ჩააბარა რუსეთს, ამბობს ემზარ კვიციანის ადვოკატი რევაზ კახნიაური, რომელთანაც FOR.GE-მ ინტერვიუ ჩაწერა.

– კოდორის ხეობის ყოფილი რწმუნებულის საქმეში გამომძიებლებმა უკვე დაკითხეს მფრინავი იმედა მაისურაძე, რომელიც კვიციანის უდანაშაულობას ადასტურებს. კონკრეტულად, ყოფილმა ხელისუფლებამ რა ვითარებაში მისცა ქართველ მფრინავებს ქართული სოფლის მიწასთან გასწორების ბრძანება?

– საქმის ირგვლივ ჩემს მიერ დასმულ კითხვებზე იმედა მაისურაძემ განმარტა, რომ 2006 წლის ზაფხულში ესკადრილიასთან ერთად, ორფოლოს საწვრთვნელ ბაზაზე იმყოფებოდა. წვრთნების დამთავრების შემდეგ, უკვე, სენაკის სამხედრო ბაზაზე მიიღეს ბრძანება. ამ ბაზაზე იგი მათი ნაწილის უფროსის – არკადი ბუქვაიძის განკარგულებით იმყოფებოდა. აქ იყო სულ ექვსი საბრძოლო „მი-24“, ასევე, რამდენიმე „მი-8“, რომელსაც დესანტი უნდა გადაესხა და იყო „ეროკეზები“. იმდენად დიდი რაოდენობის შვეულმფრენები აღმოჩნდა, რომ მფრინავებს ეგონათ, ორფოლოს წვრთნების მერე აფხაზეთში შესვლას აპირებდნენ. ცხადია, ისინი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ კოდორის ხეობის დასაბომბად აგზავნიდნენ.

– რა რაოდენობის შეიარაღება ჰქონდათ?

– იმედა მაისურაძე აცხადებს, რომ ჰქონდათ მთლიანი შეიარაღება. პირადად მას ჰქონდა ოთხი ოციანი ბლოკი, „ნურსის“ ტიპის რაკეტები, 30-მილიმეტრიანი ავტომატური ქვემეხით, რომელშიც 250 ჭურვი იყო. სენაკის ბაზაზე ყველა „მი-24“-მა მიიღო დავალება, გაფრენილიყვნენ კოდორის ხეობაში, კერძოდ, სოფელ ჩხალთაში და დაედუღებინათ ყველაფერი. ამან მფრინავებში გაკვირვება და შოკი გამოიწვია, მათ იფიქრეს, რას ჰქვია დავადუღოთ, არიან კი იქ მშვიდობიანი მცხოვრებლები და ვის ვებრძვით?

– ვისგან მიიღეს დავალება?

– ლევან ნიკოლეიშვილისგან, გენერალური შტაბის უფროსისგან. იყო ბრძანება, მიწასთან გაესწორებინათ ჩხალთა, გადაებუგათ ყველაფერი, რაც იქ იყო, და პირადად ემზარ კვიციანისა და ნორა არღვლიანის სახლებიდან არაფერი დარჩენილიყო. „ჩვენ ყველამ ერთმანეთს გადავხედეთ, ეს ის დროა, როცა ირაკლი ოქრუაშვილს ყველაფრის უფლება აქვს და თავდაცვის სამინისტროში ვისაც უნდა, იმას დაიჭერს, ან კიდევ, ოფიცრებს გააგდებს და დაკარგავს ქვეყნიდან. ვუთხარით, მშვიდობიანი მოსახლეობა თუ ადგილზე იმყოფება, მაშინ როგორ ვისროლოთო? ბრძანება შეასრულეთო. ირაკლი ოქრუაშვილი, ლევან ნიკოლეიშვილი და სხვა მაღალჩინოსნები უსიტყვოდ მოითხოვდნენ ჩვენს მორჩილებას და ბრძანების შესრულებას“, – იხსენებს მფრინავი იმედა მაისურაძე.

– იმედა მაისურაძის და ალექსანდრე თურქიას გარდა სხვა მფრინავებიც იყვნენ?

– დიახ, სხვებიც იყვნენ. იმედა იხსენებს: „დილის ათ საათზე ავფრინდით სენაკის აეროპორტიდან, ორმოც წუთში ჩავფრინდით და გვატრიალეს ჰაერში 15 წუთი, რადგან ხეობაში რაციით იყო მითითება და ამის მერე წავედით სოფელ ჩხალთაში“. იმედას თქმით, მათი მისამართით მიწიდან არავითარი სროლა და წინააღმდეგობა არ ყოფილა. იმედას შვეულმფრენმა ჩხალთაში რამდენიმე წრე შემოხაზა, ის ხედავდა კვიციანის სახლს, მდინარის პირას ბაჩო არღვლიანის სახლს, შენიშნა ადამიანების მოძრაობა, გარბოდნენ და გამორბოდნენ, მაგრამ სროლა მათი მხრიდან შვეულმფრენებისკენ არ ყოფილა. ამის შემდეგ იმედა აღწერს, რომ მან კლდეზე ისროლა რამდენიმე ჭურვი და რიყეზე. ამასვე აკეთებდნენ სხვა მფრინავებიც.

„მე ჩემი თვალით დავინახე სახლებზე თეთრი ზეწრები გამოფენილი, ერთ ეზოში გარბოდა ბავშვი და მას დედა მისდევდა, დაიჭირა და სახლში შეიყვანა. მე არ შემეძლო ამ სახლებისთვის სროლა. ასევე მოიქცნენ სხვა ბორტის პილოტები. როდესაც დავბრუნდით სენაკის სამხედრო ბაზაში, იქ უკვე იცოდნენ, რომ არც ერთი სახლი არ დავადუღეთ და არ დავანგრიეთ. ლევან ნიკოლეიშვილმა გიჟივით გვიყვირა, რას აკეთებთ, მოღალატეები ხართო. იგინებოდა, ირაკლი ოქრუაშვილი გამწარებულია თქვენზე, ნახეთ, რა მოგივათო. ხელახლა „გაგვაზაპრავკეს“ და მუქარით და ჩხუბით გაგვგზავნეს უკან ჩხალთის დასაბომბად. იმეორებდნენ, დაადუღეთ ყველაფერიო. კონკრეტულად ბრძანებას იძლეოდა არაესკადრილიის ხელმძღვანელობა. მეორედაც ჩავფრინდით, მაგრამ არ მისვრია არც ერთი სახლისთვის. უკან დავბრუნდი თუ არა, დამირეკა ლევან ნიკოლეიშვილმა, მაგინა უშვერი სიტყვებით, რამდენიმე წუთში მოვიდნენ სამხედრო პოლიციის თანამშრომლები და წამიყვანეს ფოთში, სამხედრო საპყრობილეში. ნიკოლეიშვილი გვიყვიროდა სენაკში, მთელ ესკადრილიას დაგშლით, ირაკლი ოქრუაშვილი გაგანადგურებთო. ფოთში იყო დაკითხვები, დღეში რამდენჯერმე, ჩხუბი, შეურაცხყოფა. დამკითხავები იცვლებოდნენ. არავინ გვარ-სახელს არ გვეუბნებოდა, იყო უდიერი დამოკიდებულება, ისეთი, სამხედრო ტყვეებს რომ არ ექცევიან. ოთხი დღე-ღამე გავატარეთ ასეთ აუტანელ პირობებში. ამის მერე ისევ უკან წამოგვიყვანეს სენაკში. სენაკის ბაზის დარბაზში შეგვკრიბეს, ნიკოლეიშვილმა „გვაკაჩავა“, მოგვაყენა შეურაცხყოფა, გვეუბნებოდა, თქვე უსაქმურებო, უნამუსოებო, ერთი უბრალო დავალებაც ვერ შეასრულეთო. თავის მართლება ვცადე – ვერ გავარტყი, ამიცდა-მეთქი. ამაზე სულ გაგიჟდა, ორფოლოში ყველა სამიზნე გაანადგურე, მანდ რაღა ოხრობა დაგემართაო. იქიდან თბილისში გადმოიყვანეს, სამხედრო პოლიციაში – სუხიტაშვილთან. იქიდან – ოქრუაშვილთან, სადაც ირაკლიმ ერთი კითხვა დამისვა, თავს რითი გაიმართლებო? ვუპასუხე, თავის მართლებას არ ვაპირებ-თქო. ირაკლიმ ხელი აიქნია, გაიყვანეთო, ამის მერე დამითხოვეს სამსახურიდან. სადაც კი მივდიოდი, სამსახურზე უარს მეუბნებოდნენ. ოქრუაშვილის და სააკაშვილის დაპირისპირების მერე ისევ დამიბარეს თავდაცვის სამინისტროში და ახლა უკვე მთხოვდნენ ოქრუშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას, როგორ დაგამცირა, გაგაგდო და არ გინდა, სამაგიერო გადაუხადოო? ეს იყო არაოფიციალური საუბარი და ვერაფერი მათთვის საინტერესო რომ ვერ ვუთხარი, გამომიშვეს.

...სოფელი ჩხალთა დაადუღეთ, ემზარ კვიციანისა და ნორა არღვლიანის სახლებიდან არაფერი დარჩეს!

ჩემს ესკადრილიაში იყვნენ სოსო ოსურაული, სოფელ ალიდან, ალექსანდრე თურქია და აწ გარდაცვლილი გიორგი ლონდარიძე. ესენი არიან ყველა „კრაკადილების“ ანუ „მი-24“-ების პილოტები.

– რას შეცვლის ეს ჩვენება კვიციანის საქმეში და ლევან ნიკოლეიშვილზე თუ აღიძრება სისხლის სამართლის საქმე?

– ჩემი აზრით, ეს არის სამხედრო დანაშაული. ადამიანებმა გასცეს ისეთი უკანონო ბრძანებები და სახელმწიფოს ისეთი რესურსები გამოიყენეს, რისი უფლებაც არ ჰქონდათ. როგორ მიგაჩნიათ, მშვიდობიანი მოსახლეობა, სოფელი ჩხალთა დაბუგო, გადაწვა, დაადუღო?! ასეთ ბრძანებებს ვერმახტის გენერალიტეტიც არ იძლეოდა. თანაც, სოფელი ჩხალთა, სადაც პირწმინდად მარტო ქართველები ცხოვრობენ.

– მაგრამ ამის პრეცედენტი იყო 2004 წელს აფრასიძეების შემთხვევის სახით.

– ეს ამაზრზენია – დაადუღე, დაანგრიე, სამხედრო ტერმინებში ყოვლად მიუღებელია ბრძანების გაცემისას. მათ აქვთ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული.

– კოდორელები თუ აპირებენ ყოფილ მაღალჩინოსანთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას?

– კოდორის ხეობის მცხოვრებლებს უფლება ეძლევათ, პროკურატურაში მათ წინააღმდეგ სარჩელი შეიტანონ და, ალბათ, ასეც მოხდება. ემზარ კვიციანს ბრალად აქვს წაყენებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, მას 315-ე მუხლის მესამე ნაწილს უყენებენ იმის გამო, რომ სწორედ ვერტმფრენების მეშვეობით იქ ქალი დაიღუპა. ესენი აცხადებენ, რომ დაბლიდან სროლა არ იყო. კიდევ დანარჩენ იმ ორ ვერტმფრენში ისხდნენ უკრაინელი მფრინავები.

– ანუ, ზემოდან დაბომბვის გამო დაიღუპა ქალბატონი?

– დიახ, ზემოდან მოხდა დაბომბვა და ეს დამამძიმებელ გარემოებად არის შერაცხილი კვიციანის ბრალში. როგორ შეიძლება, ამათ დანაშაული ჩაიდინეს და ეს გადააბრალონ კვიციანს. კვიციანს არავითარი რესურსი, რომ სახელმწიფო გადატრიალება ჩაედინა, სოფელ ჩხალთიდან არ ჰქონდა.

– ანუ, ისეთნაირად უნდათ წარმართონ პროცესი, თითქოს ემზარ კვიციანის ხალხმა მოკლა ქალბატონი?

– არა, ისინი ფიქრობენ, ემზარს რომ არ მოეწყო ამბოხი, ეს ქალი არ დაიღუპებოდა. იციან, ეს ვერტმფრენის მეშვეობით მოხდა, მაგრამ რა შუაშია აქ კვიციანი? თანაც, ეს ამბავი 2006 წლის 26 ივლისს ხდება, როდესაც კვიციანი უკვე აღარ არის საქართველოში.

– ამდენად, შეიძლება კონკრეტულად იმ მფრინავის მიმართაც აღიძრას საქმე, რომლის გამოც ქალბატონი დაიღუპა?

– მფრინავის მიმართ ვერ აღიძრება. ყოველ შემთხვევაში, ეს გამოსაკვლევია, თუ კონკრეტულად დადგინდება, რომელმა მფრინავმა მოახდინა გასროლა და მამა ნიკოლოზის სახლს რომელმა ესროლა, ალბათ, ბრალი შეერაცხება. მაგრამ, თვითონ იმედა მაისურაძე, ალექსანდრე თურქია და აწ გარდაცვლილი გიორგი ლონდარიძე, ვფიქრობ, აბსოლუტურად უდანაშაულონი იყვნენ. პირიქით, მათ გმირობა ჩაიდინეს, რომ იმ დიდძალი შეიარაღებით და რაკეტა-დანადგარებით არ მოახდინეს ამ სახლების მიზნობრივი სროლა და არ დაანგრიეს.

– მამა ნიკოლოზის სახლთან რა მოხდა?

– მამა ნიკოლოზის სახლთან რამდენიმე ჭურვი დაეცა, არც ერთი სახლი ამათ არ დაუნგრევიათ, მაგრამ სწორედ ვერტმფრენებიდან დაიღუპა ერთი მშვიდობიანი მოსახლე ქალბატონი. მამაო უვნებელია და ყვება ყველაფერს, რაც ხდებოდა იქ. მამა ნიკოლოზი დღესაც ციხეში შედის და ნახულობს ემზარ კვიციანს და თვლის, რომ ის ხეობა ემზარ კვიციანის გადარჩენილი იყო და ამ უწმინდურებმა დაკარგეს.

– კოდორის დაბომბვის გამო კონკრეტულად ვის მიმართ აღიძრება საქმე?

– იმ დროინდელი მთავრობის მიმართ, ვისგანაც უკანონო ბრძანებები მოდიოდა. იმის გამო, რომ კოდორში ერთ კვირაში ეს „ეპოპეა“ დამთავრდა, იმის გამო, რომ იმედა მაისურაძე ჯიმი მაისურაძის შვილი იყო, აღარ გაამწვავეს სიტუაცია. უბრალოდ, ის გააგდეს, ჩამოაცილეს თავის საქმეს და დატოვეს უმუშევრად. ჯიმი მაისურაძე აფხაზეთის ომის გმირი გახლდათ, რომელიც დაიღუპა ბრძოლის ველზე და ათობით ქართველი გადაარჩინა. სამწუხაროა, რომ მათ, ვინც ვითომდა კოდორის ხეობის ასაღორძინებლად იბრძოდა, იქ ასობით მილიონი გაფლანგეს, ორ წელიწადში, ტყვიის გაუსროლად გამოიქცნენ, მიატოვეს იქაურობა და მთელი შეიარაღება გადასცეს მოწინააღმდეგე მხარეს, ვისაც დღესაც კოდორის ხეობა აქვს დაკავებული. სამართლებრივად, არავითარი საფუძველი არ არსებობს, ემზარ კვიციანი დღეს ციხეში იჯდეს სასამართლო გადაწყვეტილებამდე.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

◎ ალიანჩალიანი

არმია - მხოლოდ პროფესიული კადრებით

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია სამხედრო სამსახურში წვევამდელთა რაოდენის შემცირების გადაწყვეტილებას პროფესიულ არმიაზე გადასვლის გეგმით ხსნის.

როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, 2017 წლიდან არმია მთლიანად პროფესიული სამხედრო მოსამსახურეებით იქნება წარმოდგენილი, რის გამოც წვევამდელთა ოდენობა ეტაპობრივად მცირდება. თავდაცვის სამინისტროს წვევამდელთა რიცხვი წინა წელთან შედარებით დაახლოებით 2 000 წვევამდელით მცირდება.

შეისწავლიან თბილისის გამგეობაში ბიუჯეტის პრობლემებს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მზად არის, დედაქალაქის გამგეობების ბიუჯეტებში არსებული პრობლემების შესწავლაში ჩაერთოს.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს საკრებულოს თავჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის განცხადების კომენტირებისას განუცხადა, რომლის მიხედვით დედაქალაქის გამგეობების ბიუჯეტებში არის სერიოზული გარღვევები, რის გამოც შესაძლოა, რიგი პროექტი ვერ განხორციელდეს. „თბილისის ბიუჯეტი დამოუკიდებელია. მას ამტკიცებს თბილისის საკრებულო და განკარგავს დედაქალაქის მერია. მაგრამ, ჩვენ მზად ვართ, ჩავერთოთ პრობლემის შესწავლაში და ვეძებოთ გამოსავალი“, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ინტერპრესი

პუტინის საპასუხო დარტყმა „აგრესორ ქვეყნებს“

სანქციები დასავლეთში შემორჩენილი ნეტარმორწმუნე იდიოტებისთვის

რუსეთში მოამზადეს კანონპროექტი „აგრესორი ქვეყნების“ შესახებ. კანონპროექტის ავტორები რუსი პარლამენტარები არიან. ისინი რუსეთისთვის სანქციების დამწესებელ სახელმწიფოებს „აბრესორ ქვეყნებად“ აცხადებენ და შესაბამისად, მათი დასჯისთვის ემზადებიან.

ანალიტიკოსები კრემლის ამგვარი ინიციატივის განხორციელების პერსპექტივას სკეპტიკურად უყურებენ, რადგან ეს თავად რუსეთს მიაყენებს ზიანს და რუსეთის კომპანიების იზოლაციას გამოიწვევს. ამდენად, საეჭვოა რუსეთს მართლა უნდოდეს ამ გზით სვლა.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** for.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ უკვე ისეთ რეჟიმში შევიდა რუსეთი-დასავლეთის ურთიერთობა, რომ შინაარსზე მეტად ფორმას აქვს მნიშვნელობა. თანდათანობით, ორ სამყაროს შორის პირისპირ დგომა სულ უფრო მკაფიოდ ღებულობს ცივი ომის კონფიგურაციას. რა თქმა უნდა, „აგრესორი ქვეყნების“ შესახებ მომზადებული კანონპროექტის ეფექტურობა რუსეთისთვის ნულია, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ფორმა, რომ რუსეთი არ ნებდება დასავლეთს და მასაც აქვს რაღაც ბერკეტები.

„ჩვენ ვბრუნდებით იმ რეალობაში, როდესაც თუნდაც იგივე საბჭოთა კავშირი, თითქოსდა, რაღაც ზიანს აყენებდა დასავლეთს. დასავლეთისთვის რუსეთის ეს სანქცია სპილოსთვის ნემსის შერჭობაც არ არის, მაგრამ ფორმა კონფრონტაციულია. მე ვიცი, კიდევ რაღაცები მზადდება და საშემოდგომო სესიისთვის დუმა განიხილავს 14-15 კანონპროექტს დასავლეთის წინააღმდეგ. რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, აქ შედის ეკონომიკური სანქციებიც. არადა, სულ რაღაც ორი კვირის წინ ლავროვი და პუტინი აცხადებდნენ, ჩვენ არ წავალთ დასავლეთის გზით და ეკონომიკურ სანქციებს არ გამოვუცხადებთ დასავლეთსო. აღნიშნულ კანონპროექტს რუსეთის დუმა მიიღებს, მაგრამ თვითონვე იციან, რომ ეფექტი არ ექნება, რადგან სანქციადაწესებულ უცხოურ აუდიტორულ ფირმებს იმდენი სამუშაო აქვთ აზიაში, ევროპასა და ამერიკაში, რომ რუსეთის ბაზარი მათთვის უმცირესი შეიძლება იყოს. ურალოდ, ეს **„სანქციები“ გათვლილია დასავლეთში შემორჩენილი ნეტარმორწმუნე იდიოტებისთვის.**

ასეთებს შორის სოსო ცინცაძე რუსეთის ჯიბეზე შემყურე მიმომხილველ არიელ კოენს, რუსეთიდან გაქცეულ ებრაელს ასახელებს და კიდევ სხვა ე.წ. პოლიტოლოგებს, რომლებსაც უხვად აფინანსებს რუსეთი. მით უფრო, თავის დროზე რუსეთმა მიაღწია, რომ გაზპრომის ხელფასზე მყოფმა ექსპერტებმა საქართველოს დაბრალეს ომის დაწყება. თუმცა, რაც არ უნდა სუსტი იყოს დასავლეთი, როგორი უთანხმოებაც არ უნდა ჰქონდეს ვაშინგტონსა და ბრიუსელს, რაც არ უნდა საშინელი მარცხი განიცადოს ლიბიაში, ერაყში, ეგვიპტეში, სირიაში დასავლეთმა, როგორც არ უნდა დასუსტდეს ნატო და კრიზისი იყოს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რაც არ უნდა „ტლინკებს ყრიდეს“ გერმანია, ან სხვა რომელიმე წევრი, დასავლეთი მაინც რუსეთზე ბევრად ძლიერი იქნება.

ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი **კახა გოგოლაშვილი** მიიჩნევს, რომ იმის მაგივრად, სანქციებმა გამოაფხიზლოს რუსეთის ხელისუფლება და დააფიქროს იმაზე, რატომ უწესებენ მას სანქციებს, იგი კონტრშეტევაზე გადადის და ცდილობს, უპასუხოს შეერთებული შტატებისა და ევროპის სანქციებს.

for.ge-სთან საუბარში კახა გოგოლაშვილი აცხადებს, რომ აუდიტისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო აღიარება, ხოლო რუსეთის ბაზარი ძირითადად უჭირავს „Deloitte“-ს და „KPMG“-ს კომპანიებს, რომლებსაც ძალზე დიდი შემოსავლები აქვთ.

„მიიღებს თუ არა დუმა ამ კანონპროექტს, ამის თქმა ძნელია. ალბათ დაფიქრდებიან და წესით, არ უნდა მიიღონ, რადგან ეს დააზარალებს რუსულ კომპანიებს და ეს იქნება დარტყმა საკუთარ თავზე. მართალია, ზიანს მიაყენებენ აღნიშნულ აუდიტორულ კომპანიებსაც, მაგრამ უფრო მეტ ზიანს მიაყენებენ საკუთარ რუსულ კომპანიებს, რომელთაც აღარ ექნებათ ამ საერთაშორისოდ აღიარებული სააუდიტორო ფირმების დასკვნები და მათ აღარ ენდობიან დასავლეთში. მათი საინვესტიციო და სხვა სახის საქმიანობის არეალი შეიზღუდება, ვერც კრედიტებს მიიღებენ. საერთაშორისო ბიზნესში ასეა ურთიერთობები მოწყობილი“...

მანანა ნოზაძე

◎ **რა იქნება ხვალ?**

ჩვენც მოგვწვდება სანქციების სუსხი?

ემუქრება თუ არა სანქციები საქართველოში მოქმედ რუსულ კომპანიებს, თუნდაც, „ვითიბი საქართველოს“, რომლის აქციების 50 პროცენტზე მეტი რუსეთის სათავო ბანკს ეკუთვნის?

ევროკავშირმა და აშშ-მა რუსეთის ქმედებები უკრაინაში რამდენჯერმე დაგმეს, უფრო მეტიც, რუსი სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგ სერიოზული შეზღუდვები და სანქციები შემოიღეს. ამ დღეებში ევროკავშირმა, ამერიკასთან ერთად, რუსეთს კიდევ უფრო მკაცრი სანქციები დაუწესა, რომელიც ენერგეტიკის, საბანკო და თავდაცვის სექტორებს შეეხება.

ბანკებს, რომელთა წილშიც რუსეთის სახელმწიფო ზის, შეეზღუდებათ წვდომა ევროპულ ბაზრებთან, რაც ძალიან გაართულებს მათ მიერ ფინანსების მოზიდვას. აშშ-ის სახელმწიფო ხაზინამ სანქციები კონკრეტული ბანკებისაკენ მიმართა. სანქცირებულთა სიაში შევიდა „ვითიბი ბანკი“, რომლის შვილეული კომპანია საქართველოშიც ოპერირებს. რასაკვირველია, ამის შემდეგ გაჩნდა კითხვა — „ვითიბის“ წინააღმდეგ დაწესებული სანქციები ქართველ მომხმარებლებზეც ხომ არ იმოქმედებს? — ეს შეკითხვა „ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელს, რომან გოცირიძეს დავუსვით, რომელმაც თავდაპირველად რუსეთის წინააღმდეგ მიღებული სანქციების მნიშვნელობაზე ისაუბრა:

— აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ რეალური სანქციები სწორედ ახლა დაწესდა, მანამდე სანქციები შეეხო ორიოდე ბანკს და რამდენიმე პირს, რომელიც პუტინის საახლობლოს ეკუთვნის. უნდა ითქვას, რომ ეს რეალური ეკონომიკური სანქციები არც ყოფილა. ახლა კი — რუსეთს ნამდვილი სანქციები დაუწესეს, რაც რეალურ გავლენას მოახდენს მის ეკონომიკაზე. ამგვარი სანქციები თავის დროზე რომ დაეწესებინათ, უკრაინაში ამდენი უბედურება აღარ დატრიალდებოდა, არც ამდენი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპებოდა. ეს მსხვერპლი სწორედ ევროპელი ლიდერების სინდისზეა! რატომ დაუწესეს მკაცრი სანქციები მაინცდამაინც ახლა? — იმიტომ, რომ პუტინის საქციელი ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. ბოლო წერტილი იყო თვითმფრინავის ჩამოგდება, რის გამოც სამასამდე უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. ამიტომ, ევროპა იძულებული გახდა, მხარი აება ამერიკისთვის, რომელიც პრინციპულად და თანმიმდევრულად აფრთხილებდა რუსეთს მოსალოდნელი სანქციების შესახებ.

— ამ დღეებში მიღებული სანქციების ძალა და მნიშვნელობა რით გამოიხატება?

— ერთი შეხედვით, ეს არაფერია: რუსულ ბანკებს ევროპასა და ამერიკაში სესხების აღება ეკრძალებათ. თითქოს, ეს წვრილმანია, მაგრამ რუსეთის უკიდურესად სუსტი და ენერგოშემცველებზე ორიენტირებული ეკონომიკისთვის ეს უკიდურესად მტკივნეული აღმოჩნდა. პარალელურად, რუსეთის სხვა კომპანიებსაც აეკრძალათ სესხების აღება დასავლეთში, დამატებითი ფინანსური რესურსებისა და ინვესტიციების მოზიდვა. რატომ არის ეს სანქცია მტკივნეული რუსეთისათვის? — ფაქტობრივად, უკვე ყველა რუსული სახელმწიფო კომპანია ხდება ერთმანეთის კონკურენტი რუსეთის ბაზარზე არსებული მწირი ფინანსური რესურსების მოსაზიდად. ყველას უჭირს და ფული ყველას სჭირდება. მარტო რუსულ კომპანიებს საგარეო სესხების დასაფარად 88 მილიარდი დოლარი სჭირდებათ, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსული ბიზნესი და ბანკები ვერ იარსებებენ დასავლეთის ფინანსური რესურსების გარეშე, ამას ემატება ტექნოლოგიების შეზღუდვაც... თითქოს წვრილმანია, რომ აიკრძალა ყირიმის ნავსადგურში გემების შესვლა, მაგრამ რუსებს საკმარისი რაოდენობით ბორნებიც კი არა აქვთ, ამიტომ ბერძნული და იტალიური კომპანიები ემსახურებიან. ასე რომ, ერთი შეხედვით უმტკივნეულო სანქციები, ერთმანეთთან ჯაჭვურ რეაქციაში შედის და ძალიან ცუდ დღეში აყენებს რუსეთის ეკონომიკას.

— შეეხება თუ არა ეს სანქციები საქართველოს?

— საქართველოში არაერთი რუსული კომპანია მუშაობს, განსაკუთრებით, ენერგეტიკის სფეროში. „თელასი“, „თბილისის წყალი“, „საქრუსენერგო“ და ა.შ... განსაკუთრებით დიდია მათი რიცხვი ელექტროენერგიის ტრანსპორტირებისა და გენერაციის სფეროში, მაგრამ ჯერჯერობით სანქციები მხოლოდ „ვითიბი ბანკის“ შვილეულ ბანკს შეეხო, რომელიც საქართველოში საქმიანობს. ამ ბანკსაც ზუსტად იგივე აკრძალვები აქვს, როგორიც მის სათავო ოფისს, იმიტომ რომ „ვითიბი საქართველოს“ 50%-ზე მეტი სწორედ რუსეთის სათავო ბანკს ეკუთვნის. რა პრობლემები შეიძლება შეხვდეთ? — ევროპიდან სესხს ვერ აიღებენ, ვერც ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის ფინანსებით ისარგებლებენ, რაც მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია. სხვა საკითხია, არსებობს თუ არა საფრთხე ქართველი მომხმარებლისათვის? ვფიქრობ, რომ არანაირი საფრთხე არ არსებობს რამდენიმე მიზეზის გამო: „ვითიბი ბანკის“ ქართულ ფილიალში თანხების მოზიდვის არეალი მეტ-ნაკლებად დივერსიფიცირებულია, ბანკი არ არის დიდი და არა აქვს დიდი რაოდენობის სესხი აღებული. თანაც, მის აქტივებში უმნიშვნელო რაოდენობითაა ევროპის ბაზარზე ნასესხები თანხაც. მაგრამ აქ მეორე გარემოება იკვეთება: საკითხავია, რუსეთის სათავო ბანკი რამდენად მოიცლის ქართული ფილიალისათვის იმიტომ, რომ მას უამრავი ფილიალი აქვს მთელ მსოფლიოში და თვითონ რუსეთშიც. ახლა მთავარია, რამდენ ფილიალს გაწვდება „ვითიბის“ სათავო ოფისის ფინანსები, როცა ბანკი რესურსების შიმშილს განიცდის? თუმცა, აქ საუბარია ბანკის მომავალზე, მის პერსპექტივაზე და არა იმაზე, რომ მის მეანაბრეებსა და კლიენტებს რაღაც საშიშროება ემუქრება.

— როგორ წარმოგიდგენიათ სანქციების პრობლემების მოგვარება?

— შეგახსენებთ, რომ სანქციები ერთწლიანია, მაგრამ სამი თვის შემდეგ შეიძლება, გადაიხედოს. თუ ამ სამ თვეში უკრაინაში სიტუაცია მოგვარდება, შეიძლება, ეს სანქციები საერთოდ მოიხსნას, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის „სანქცია 3+9“ — პირველ სამ თვეში მოხდება რუსეთის მთავრობის პოლიტიკის შეფასება და შემდეგ გადაწყდება, გაგრძელებენ თუ არა მას. ამასთან, საქართველოში მოქმედი ბანკი პატარაა და რესურსების წყარო სხვადასხვა ადგილებში აქვს. თანაც, ეს არის დამოუკიდებელი ფინანსური და იურიდიული ერთეული, უფრო მეტიც, ეს არის ქართული ბანკი, რომელიც რუსული კაპიტალით არის დაფუძნებული. ეროვნული ბანკის პოლიტიკაც ისეთია, რომ არა მგონია, „ვითიბის“ ერთი წლის განმავლობაში სერიოზული პრობლემები შეექმნას.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ მხარე

3 მილიონი – გურიის გამოსაცოცხლებლად

„ვაზს რომელ გლეხსაც დავურიგებთ, სწორედ მისგან უნდა შევიძინოთ ყურძენი“

რამდენიმე თვეში ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში ტურისტული ცენტრი გაიხსნება, რომელსაც კომპანია „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა“ აშენებს. „როიალ ასკანა“ – ასე „მონათლეს“ პროექტის ავტორებმა კომპლექსი, რომლის მშენებლობაც 2015 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს. როგორც კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ზურაბ ჩხაიძემ გვითხრა, ამ ობიექტის მშენებლობაში კომპანია თავდაპირველად სამი მილიონი დოლარის ინვესტიციის ჩადებას გეგმავს. ეს იქნება ტურისტული კომპლექსი, რომელიც ხელს შეუწყობს ენოტურიზმის განვითარებას არა მხოლოდ ასკანასა და ოზურგეთში, არამედ მთელ გურიის რეგიონში. ცნობილია, რომ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი სწორედ ენოტურიზმს ირჩევს გართობისა და დასვენების საუკეთესო საშუალებად. ენოტურიზმის მოყვარულებს მარტო ღვინის დაწურვა, ან მისი დეგუსტაციის ყურება კი არ მოსწონთ, არამედ ვენახების დათვალიერება, ადგილობრივი ყურძნის ჯიშებისა და ღვინის დაწურვის ტრადიციის გაცნობა და ყველაფერი, რაც ამ საქმესთან არის დაკავშირებული. სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანას ღვინის ტურიზმის ფართო პოტენციალი აქვს, მაგრამ მისი განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს.

კომპანია „კახეთის ტრადიციულმა მეურნეობამ“ გადაწყვიტა, ეს პოტენციალი უფრო აქტიურად გამოიყენოს. კომპანიის ხელმძღვანელი ზურაბ ჩხაიძე მიიჩნევს, რომ „ასკანა როიალის“ ამოქმედება ამ გზაზე წინგადადგმული ნაბიჯი იქნება:

— ბატონო ზურაბ, უფრო დაწვრილებით მოგვიყევით „ასკანა როიალის“ შესახებ — რით იქნება ის გამორჩეული, რა გეგმები გაქვთ ახალ ტურისტულ ცენტრთან დაკავშირებით?

— ეს პროექტი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ჰიბრიდული ტიპისაა: ასკანაში იქნება ყურძნის გადამმუშავებელი მარანი, სადაც ღვინო გურიაში გავრცელებული სხვადასხვა ჯიშის ყურძნისგან დაიწურება. იქვე განთავსდება სასტუმრო, გაიმართება გურული და აჭარული ტრადიციული ყურძნისაგან დაყენებული ღვინის დეგუსტაცია, მეღვინეთა შეკრებები, ღვინის ტურები და ა.შ... ერთი სიტყვით, „ასკანა როიალი“ უშუალო კავშირში იქნება ჩვენი კომპანიის ძირითად საქმიანობასთან — მეღვინეობასთან. სასტუმრო გათვლილი იქნება საშუალო და მაღალ სეგმენტზე. ეს იქნება მაღალი კლასის სასტუმრო, სადაც ყველა სტუმარს სანიმუშო კომფორტი და ასევე სანიმუშო მომსახურება უნდა შევთავაზოთ. აქცენტი გაკეთდება ენოტურიზმის განვითარებაზე და ამაზე იქნება მიბმული ველური ბუნების გაცნობა აჭარისა და გურიის მთებში. არიან მსურველები, რომლებსაც უყვართ მთები და იქ სხვადასხვა საშუალებით გადაადგილება მოსწონთ. ამ საშუალებებს შორის იქნება ვერტმფრენით ბახმაროს მთებში ასვლა, რაც ასკანიდან 15 წუთში შეიძლება. ასეთი რამ ჯერ საქართველოში არ გვაქვს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს ძალზედ საინტერესო და მიმზიდველი პროექტია.

— როდის შეძლებთ თქვენი ჩანაფიქრის სრულად განხორციელებას?

— პროექტის დასრულებას დაახლოებით ორი წელი დასჭირდება, რადგან იქ საკმაოდ რთული და სკრუპულოზური სამუშაოებია ჩასატარებელი. იმედი მაქვს, რომ მომავალი წლის ბოლოს უკვე შევძლებთ მის გახსნას. პროექტი უკვე მოიწონა და მიიღო მთავრობამ. რაიონის მოსახლეობას უკვე რამდენიმე წელია წყლის პრობლემა აწუხებს, ოთხ სოფელში უკვე დაიწყეს წყალგაყვანილობის სისტემის მოწესრიგება, რათა ამან ჩვენი გეგმების განხორციელებას ხელი არ შეუშალოს. გეგმები კი საკმაოდ გვაქვს: გადაწყვეტილი გვაქვს იქვე, ტურისტულ ცენტრში ვაწარმოოთ მაღალი ხარისხის ღვინო, შამპანური და ქართული კონიაკი. როგორც გითხარით, ეს იქნება კომპლექსური პროექტი, სადაც ხელით, ტრადიციული წესით დაიწურება ღვინო და სტუმრებს საშუალება ექნებათ, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა ამ პროცესში. ჩვენი პროექტი ხელს შეუწყობს ენოტურიზმის განვითარებას გურიის მხარეში, ამავე დროს, ადგილობრივი ჯიშების გამრავლებასა და აღდგენას. ყველაფერს თავს მოვუყრით მუზეუმში, სადაც დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშების გამოფენა მოეწყობა, ეს მუზეუმიც ასკანაში იქნება. სხვათა შორის, ამ მხარეში ჩვენ უკვე დავარიგეთ 10 ათასი ძირი ჩხავერისა და ცოლიკაურის ჯიშის ვაზი, ხოლო ოქტომბერში დაახლოებით 70 ათას ვაზის ნერგს დავარიგებთ, ეს იქნება იშვიათი, უკვე მივიწყებული ჯიშები. ვალდებულებას ვიღებთ, რომ ვაზს რომელ გლეხსაც დავურიგებთ, სწორედ მისგან უნდა შევიძინოთ ყურძენი, რომ ადგილობრივ მოსახლეობას უფრო მეტი შემოსავალი გაუჩნდეს.

— რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც გურია და სოფელი ასკანა?

— მამაჩემი წარმოშობით გურიიდანაა და ჩვენ დიდი სიყვარული გვაქვს ამ მხარის მიმართ. სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოში მე არ მეგულება ამ ტიპის პროექტი. იმის მიხედვით, თუ რამდენად გაამართლებს ეს პროექტი ჩვენს მოლოდინებს, მერე უფრო მეტი რამის დაგეგმვაც შეიძლება. თუ გვინდა, უცხოელი ტურისტები რაღაცით დავაინტერესოთ, გამორჩეული და საინტერესო პროექტები უნდა შევთავაზოთ. მით უმეტეს, „ასკანა როიალის“ მსგავსი პროექტები ფართოდ გავრცელებული და მიღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამგვარ ტურისტულ ცენტრებში ადგილები წინასწარ იჯავშნება და მათ თავისი, გამორჩეული სტუმრები და მომხმარებლები ჰყავს. მიმაჩნია, რომ გურიას ამ მხრივ ძალიან დიდი პოტენციალი აქვს. ჩვენი პროექტი რეგიონს უფრო ცნობადს გახდის და ქართული ღვინით დაინტერესებულ არაერთ სტუმარს მოიზიდავს. ყველამ იცის, რომ კახეთი ღვინის წარმოების ტრადიციული, დიდი რეგიონია, მაგრამ გურია ამ მხრივ ნაკლებად არის ცნობილი. ბევრმა არ იცის, რომ გურიაში ოდითგანვე ხარობდა უნიკალური ვაზის ჯიშები, რომელთაგანაც საუკეთესო ღვინის დაწურვა შეიძლება. მე ვფიქრობ, რომ ღვინის წარმოების ქართული ტრადიციები უფრო ცნობილი უნდა გახდეს მთელი მსოფლიოსთვის. რა თქმა უნდა, ჯერ ბევრი რამ ჩამოუყალიბებელი გვაქვს, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცით: ჩვენი პროექტის განუყოფელი ნაწილი იქნება კურორტი ბახმარო. ვინც ბახმაროში ერთხელ მაინც ყოფილა, დამეთანხმება, რომ ეს მრავალმხრივ გამორჩეული და უნიკალური ადგილია, რომელიც განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისათვის და იმ პაციენტებისთვის, ვისაც ფილტვებისა და სასუნთქი გზების პრობლემები აქვს. ამავე დროს, ბახმაროს სტუმრებს იქ დაუვიწყარი სილამაზის ბუნება ხვდებათ, ვფიქრობ, რომ ეს პოტენციალი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

მზეიქალა ჩხაიძე



◎ „თავი დაიფასა“

თხილის გაძვირება მცირე მოსავლის ბრალია

საქართველოში **თხილის წარმოება ბევრი ოჯახისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, განსაკუთღებით დასავლეთ საქართველოში. თხილის მოსავლის დიდი ნაწილი სწორედ დასავლეთ საქართველოში — გურიასა და სამეგრელოში მოჰყავთ, სადაც მისი ფასი წელს საგრძნობლად გაიზარდა: ჩამბარებელ პუნქტებს მოსახლეობა კილოგრამ თხილს 4,80-5,50 ლარად აბარებს, ზოგი ქარხანა კი 1 კგ თხილში 6 ლარსაც იხდის. გლეხები და ფერმერები ამბობენ, რომ თხილის ფასმა წელს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.** ჩვენ გადავწყვიტეთ, გაგვერკვია, რამ განაპირობა თხილის გაძვირება და საქართველოს იმ რეგიონებში მცხოვრებ ფერმერებს დავუკავშირდით, სადაც ეს კულტურა ხარობს.

დალი დოლიძე ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში ცხოვრობს და მცირე მეურნეობა აქვს. მისი თქმით, წელს თხილს უხვი ნაყოფი ჰქონდა, მაგრამ უამინდობის გამო მოსავალი სანახევროდ განადგურდა. ძლიერმა ქარმა ჯერ კიდევ ნედლი თხილი ძირს ჩამოყარა, ამას გვალვებიც მოჰყვა, რის გამოც თხილის მოსავალი თითქმის განახევრდა. როგორც ქალბატონი დალი ამბობს, თხილის გაძვირება სწორედ მოსავლის სიმწირემ განაპირობა. მისი თქმით, ჩოხატაურის რაიონში კილოგრამ თხილს ახლა 4,80 ლარად იბარებენ.

ჯაბა ჭეიშვილი ასოციაცია „ელკანას“ მრჩეველია გურიის რეგიონში. ამავე დროს, თხილის პლანტაციები აქვს ოზურგეთის რაიონში სოფელ მაკვანეთში.

„ახლა ოზურგეთში, შერეულ თხილს კილოგრამს 4,50 ლარად იბარებენ, კარგი თხილი კი — 5,10 ლარი ღირს. ზუგდიდში კიდევ უფრო ძვირია — 5,20 ლარი, ხოლო საუკეთესო ხარისხის თხილის ფასი 5,50 ლარსაც აღწევს. რამ გამოიწვია თხილის გაძვირება? — იმან, რომ მოსავალი ცოტაა როგორც საქართველოში, ასევე თურქეთშიც. გურიაში წელს, 30 მარტს თოვლი მოვიდა, მერე 3-4 დღის განმავლობაში თოვლი და ყინვა იყო, რის გამოც მოსავალი დაზიანდა. ამის შემდეგ თხილი ქარიშხალმა ჩამოყარა ხეებიდან, ცოტა დარჩა და ფასიც ამით არის განპირობებული. მართალია, თხილის ფასს მთელ მსოფლიოში თურქეთი განსაზღვრავს, მაგრამ არახელსაყრელი ამინდების გამო წელს მოსავალი იქაც ცოტაა. ოზურგეთში მოსახლეობის დიდმა ნაწილმა უკვე დაასრულა თხილის აღება და ამჟამად მისი რეალიზაციით არის დაკავებული.

ჩვენთან თანამედროვე ტექნიკის გამოყენება იშვიათია და ფერმერები თხილის პლანტაციებს თავისი ძალებით აშენებენ. ამიტომ არა აქვთ იმხელა ფართობები, რამდენიც უცხოეთში - ევროპაში ან ამერიკაში გვხვდება. დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში 1 ჰექტარ პლანტაციაზე ლაპარაკი სასაცილოდაც არ ჰყოფნით, რადგან იქ ფერმერს თხილი 30, 50 და 100 ჰექტარზე აქვს გაშენებული. ჩემი თვალით მინახავს აშშ-ში, ორიგონის შტატში, ათას ჰექტარზე გაშენებული თხილის პლანტაცია, რომელიც ერთ ფერმერს ეკუთვნოდა. იქ თხილს ტრაქტორი კრეფდა, არჩევდა და აშრობდა. აქვე უნდა ვთქვა, რომ ჩვენი თხილი - ქართულიც და თურქულიც, მსოფლიოში ყველას სჯობს ცხიმიანობით და გემოთი, ამიტომაც მოსწონთ“, — ამბობს ჯაბა ჭეიშვილი. მისი თქმით, თხილის პლანტაციებს დასავლეთ საქართველოში ახლა ბევრი აშენებს, რაც მომავალში მოსავლის რაოდენობაზეც აისახება.

ჩვენთან თხილი ადრე შემოვიდა, თურქები კი ახლა იწყებენ მოსავლის აღებას. თხილის გულის შარშანდელ და წლევანდელ ფასს შორის ძალიან დიდი სხვაობაა. თხილის გულისა იმიტომ, რომ ექსპორტიორები ძირითადად სწორედ თხილის გულის ფასს ანგარიშობენ, რომელიც საშუალოდ 4 დოლარით არის გაზრდილი: ქართული თხილის გული შარშან 5,50 ლარი ღირდა, წელს კი — დაახლობეით 9,40 ლარის ფარგლებში მერყეობს. ამხელა ფასის გადახდა კი მსოფლიო ბაზარზე ყველას უჭირს“.

გაძვირებული ფასი კი ყველაზე მეტად გლეხისთვის არის ხელსაყრელი, რადგან შემცირებული მოსავლის პირობებშიც კი შეუძლია, კარგი შემოსავალი მიიღოს.

ხათუნა გურიელიძე

◎ ალიანჩალიანი

საჯარო სკოლებში ქიმიის კაბინეტები ამოქმედდება

საქართველოს **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლებში სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისა და სკოლის ექიმის საქმიანობის საპილოტე პროგრამას იწყებს.**

პროექტი საქართველოს მასშტაბით, 100 საპილოტე საჯარო სკოლაში განხორციელდება. ამ ეტაპზე, შერჩეულ სკოლებში სამედიცინო კაბინეტებისთვის განკუთვნილი ოთახების სარემონტო სამუშაოები და მათი აღჭურვა მიმდინარეობს. მინისტრი თამარ სანიკიძე ერთ-ერთ საპილოტე - თბილისის 64-ე საჯარო სკოლას ეწვია და სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას პირადად გაეცნო.

კაბინეტებისთვის ექიმების შერჩევას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი კომისია უზრუნველყოფს, სამედიცინო კაბინეტების მოწყობასა და აღჭურვას კი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დააფინანსებს. უკვე ახალი, 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებისთვის სამედიცინო კაბინეტი პროგრამაში ჩართულ ყველა საჯარო სკოლაში დაიწყებს ფუნქციონირებას.

ინტერპრესი

◎ დღეს – ხვალისთვის



5 000-ლარიანი გრანტები ბიზნესის დასაწყებად

საქართველოს ხელისუფლება შემოდგომიდან ბიზნესის ხელშემწყობ ახალ პროგრამას იწყებს: 5 000-ლარიანი გრანტი ბიზნესის დასაწყებად გადაეცემა მას, ვისაც სოფლად ბიზნესის დაწყება სურს და მზადაა ამ საქმეში 1000 ლარის ღირებულების ქონება ჩადოს. პროექტის ღირებულებაა 20 მლნ ლარი და, წინასწარი ვარაუდით, ამ პროექტმა მინიმუმ 3 200 მიკროსაწარმოს შექმნას უნდა შეუწყოს ხელი.

სახელისუფლებო ინიციატივის თანახმად, პროექტი შეეხება არა არსებულ მეწარმეებს, არამედ მათ, ვისაც აქამდე არ ჰქონდა არც ფინანსური რესურსი და არც შესაბამისი უნარები მეწარმეობის დასაწყებად. სწორედ ამ სეგმენტზე გაკეთდება აქცენტი და მოხდება მათი ჩართვა ეკონომიკურ საქმიანობაში. პროექტის ავტორები ვარაუდობენ, რომ 2-3 წელიწადში სიცოცხლისუნარიანი კომპანიები შეძლებენ გააფართოონ თავიანთი საქმიანობა.

მიკრომეწარმეობის პროგრამის მიზანია რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესება. აქედან გამომდინარე, ეს შეეხება თავდაპირველად თითქმის ყველა სექტორს, დარგსა და მიმართულებას. ეს იქნება როგორც სოფლის მეურნეობა, ინდუსტრიული მიმართულება, ასევე სერვისზე ორიენტირებული საქმიანობის განვითარება.

როგორც ოფიციალური პირები ამბობენ, რეგიონებზე აქცენტი საქართველოში ბიზნესის განვითარებაში არსებული დისბალანსის გამო გაკეთდა. როგორც ცნობილია, ბიზნესაქტივობის 80 პროცენტი დღეს თბილისზე მოდის.

პროგრამა ორი კომპონენტისგან შედგება: წვდომა დაფინანსებაზე, მცირე საგრანტო სქემა და წვდომა განათლებაზე, უნარების გაუმჯობესებაზე.

ცხადია, 5 000 ლარი, რომელიც ამ შემთხვევაში გრანტის სახით გაიცემა, საკმაოდ სიმბოლური თანხაა ბიზნესის დასაწყებად. იდეის ავტორები ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ, ზუსტად რა ტიპის ბიზნესის დაწყება შეიძლება ამ თანხით რეგიონებში. ამბობენ, რომ პროგრამის პირველი ოთხი თვე სწორედ ასეთი იდეების მოსაგროვებლად აძვთ გათვალისწინებული.

არის კიდევ ერთი შესაძლებლობა – რამდენიმე პირის გაერთიანება და მეტი თანხის მიღება, თუმცა, მაქსიმუმ რა მასშტაბამდე შეიძლება გაერთიანება, ეს დაზუსტებული არ არის.

პროგრამა არის გათვლილი დაახლოებით სამ წელზე – უფრო ზუსტად, 28 თვეზე. პირველი ოთხი თვის განმავლობაში ჩატარდება მოსამზადებელი სამუშაოები, სოფლებში მოიძიებენ იდეებს, ჩაატარებენ ტრენინგებსა და კონსულტაციებს. შემდეგ უკვე მთელი წლის მანძილზე იწარმოებს გრანტების გაცემა, დარჩენილი დრო კი მოხმარდება მონიტორინგს გაცემულ გრანტებზე და იმაზე, თუ როგორ ვითარდება აღნიშნული ბიზნესი.

ტექნიკურად ეს პროექტი შემდეგნაირად განხორციელდება: რეგიონები დაიყოფა ლოტებად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გამოაცხადებს ტენდერს და შეარჩევს იმ კომპანიებს ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, რომლებიც რეგიონებში განახორციელებენ აღნიშნული ტიპის პროგრამას.

ამ თანხის მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია პროექტების მონიტორინგი და კონსულტირება. თუმცა, არ არის საუბარი იმაზე, რა მოხდება, თუ პროექტი, რომელიც დაფინანსდა, ვერ ან არ განხორციელდა ან არაეფექტური აღმოჩნდა.

სწორედ ეს ფაქტი, ისევე როგორც გრანტის საკმაოდ მოკრძალებული თანხა, აღძრავს ეჭვს, რომ პროგრამას უფრო სოციალური დახმარების ხასიათი ექნება, ვიდრე რეალური ეკონომიკური ეფექტი. ცხადია, მნიშვნელოვანი იქნება ისიც, თუ ვინ გახდება ამ დახმარების სამიზნე და რამდენად ობიექტურად იქნება გაცემული გრანტები. პირველადი დასკვნების გაკეთებას უკვე მას შემდეგ შევძლებთ, რაც გრანტების ადრესატი პროექტები გახდება ცნობილი.

ირინა გურული,
რადიო „თავისუფლება“

◎ საბანკო სექტორი

მახეები დაკრედიტების ვიწრო ბილიკზე

კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, მომენტალური განვადების ფირმები, ლომბარდები და სხვები, ბოლო წლებში, რომ იტყვიან, კლიენტებზე ნადირობენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მიამიტი, უფრო მეტად კი გარკვეული საყოფაცხოვრებო გარემოებებით შევიწროებული მომხმარებელი, ამ შემთხვევაში უკვე პოტენციური მსესხებელი, სესხზე „0“-პროცენტიანი, ანდა, უარეს შემთხვევაში, ძალიან დაბალპროცენტიანი განაკვეთით უმალ „იბმება“ ხოლმე. მცირე, ანდა, სულაც, უპროცენტო განაკვეთს ის ხიბლიც აქვს, რომ მიკროსესხების აღების დროს, რაზეც მოკლევადიანი სესხების 99 პროცენტი მოდის, გადასახადი იმდენად მცირეა, რომ მისი უგულებელყოფა სავსებით გამართლებულია. სესხის აღება მით უმეტეს მიმზიდველი ჩანს უპროცენტო განაკვეთის დროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ გაქნილი საქმოსნები სწორედ აქ აგებენ თავიანთ ხაფანგებს, რომლებსაც, ზოგადად რომ ვთქვათ, სესხის მომსახურების ნაირ-ნაირი, პაჭიპუჭა პროდუქტსა და ხელშეკრულებებში, ჩვეულებრივ, უწვრილესი შრიფტით დაწერილი პუნქტის სახე აქვს ხოლმე.

სწორედ ისინია „0“-პროცენტიანი მსესხებლის „მოწველის“ მთავარი ინსტრუმენტი. ერთია ისიც, რომ ბანკის „წვრილფეხა“ მოხელეები, რიგითი ოპერატორები, ხშირად სესხების პროცენტებს არასწორად ანგარიშობენ, ანდა სხვადასხვა საბანო მომსახურებისთვის გადასახადს კლიენტს არასწორად აწერენ – ამის რამდენიმე პრეცედენტის თაობაზე რედაქციაში არაერთხელ მოგვმართეს, თუმცა კი, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჩარევის შემდეგ, რომ იტყვიან, „ყველაფერი თავის ადგილზე დადგა“. მაგრამ, საინტერესოა, იმათი საქმე როგორღაა, ვისაც არც ერთი გაზეთის, ტელე თუ რადიოარხის რედაქციისთვის, ანდა, სულაც, სამართალდამცავი ორგანოსთვის არ მიუმართავს? ისინი ხომ მოტყუებულები და გაძარცულები დარჩნენ?

როცა ბანკირის სიტყვა სხვაა, საქმე კი სხვა, განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს!

ამიტომ, ასე რომ არ მოხდეს, **რომელიმე საკრედიტო დაწესებულებიდან სესხის გამოტანის დროს შესაბამისი დოკუმენტის გაფორმებისას, აუცილებლად გულდასმით წაიკითხეთ ხელშეკრულების მთელი ტექსტი. ამასთან, როგორც საბანკო სფეროს ექსპერტები გვირჩევენ, მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ სხვადასხვა საბანკო პროდუქტის მოხმარების დროსაც, როგორებიცაა ვთქვათ, თავად სესხის გაფორმება, მომენტალური კრედიტი, განვადებისა და საკრედიტო ბარათით სარგებლობის პირობები, საბანკო მომსახურების საფასური, კრედიტის დაფარვის ვადები, პერიოდულობა და პირობის დარღვევის შემთხვევაში სანქციები და ა. შ.**

თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ყოველივე აღნიშნული, ამას, სხვებთან ერთად, ისეთი კომპეტენტური პირიც აქცევს ყურადღებას, როგორიცაა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **გიორგი ქადაგიძე,** რომელმაც ცოტა ხნის წინათ საბანკო სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, კერძოდ, განაცხადა:

– ბოლო ტენდენციების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ კომბანკების სამომხმარებლო სექტორებში საგრძნობლად იზრდება საცალო დაკრედიტება. მათ გარდა, არის კიდევ მრავალი სხვა ტიპის საკრედიტო ორგანიზაციები – ლომბარდები, მიკროსაფინანსო და ა. შ., რომლებიც მოკლევადიან სესხებს საკმაოდ კაბალური პირობებით გასცემენ, რის შედეგად ვალების მომსახურება მოსახლეობის დიდ ნაწილს მძიმე ტვირთად აწევს და ძალიან ხშირად უდიდეს საფრთხეებს უქმნის მათ საყოფაცხოვრებო და საარსებო პირობებსაც კი. ამავე დროს, მაშინ, როცა ქვეყანაში მოსახლეობის უმეტეს ნაწილის შემოსავლის დონე უაღრესად დაბალია, იმაში გასაკვირი არაფერია, რომ მოქალაქეთა უმრავლესობას ფინანსური პრობლემები აქვს. ამ დროს ისინი ხშირად საკრედიტო ინსტიტუტს სესხის რესტრუქტურიზაციის გამო მიმართავენ. კლიენტის მიმართ არაეთიკური პოლიტიკის გატარების პრობლემის არსი ის არის, რომ ესა თუ ის კონკრეტული საკრედიტო ინსტიტუტი ისედაც გაჭირვებაში ჩავარდნილ პირს, ძველი სესხის დასაფარავად... ახალი სესხის აღებას სთავაზობს. ეს კი, როგორც წესი, პრობლემის მხოლოდ დროებით და არა ფუნდამენტურად გადაჭრის ხერხია. ყოველ ასეთ შემთხვევაზე ჩვენ ადეკვატური რეაგირება გვექნება, თუმცა კი, არის მეორე გარემოებაც: უშუალოდ მომხმარებლებს მინდა, ვთხოვო, გავაფრთხილო, მოვუწოდო, რომ გულისყურით წაიკითხონ არა მარტო საკრედიტო ხელშეკრულებები, არამედ მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინონ ისეთი საბანკო პროდუქტების მოხმარებისას, როგორიცაა განვადება, სესხის დაფარვა, საკრედიტო ბარათებით სარგებლობა და სხვა, რადგან საქართველოს საბანკო სისტემაში, ისევე, როგორც ქვეყანაში, ესენი ყველაზე ძვირადღირებული პროდუქტებია. იმიტომ, როცა მომხმარებელი ასეთ ძვირადღირებულ საბანკო პროდუქტის მოხმარებას იწყებს, იგი რაც შეიძლება მეტად ფრთხილი უნდა იყოს და საკუთარი ფინანსური რესურსის ხარჯვა კარგად უნდა ჰქონდეს დაგეგმილი – ფუფუნების საგნების ნასესხები ფულით შეძენა დიდი რისკის შემცველია, – განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა. გარდა ამისა, მისი აზრით, აუცილებელია ასევე, რომ კომერციულმა ბანკებმა თავიანთი საკრედიტო პოლიტიკა კლიენტების მოთხოვნებსა და ინტერესებზე მორგებულად უნდა გაატარონ.

პრობლემური სესხის მეორე და მესამე ახალი სესხებით გადაფარვა, ერთი საკრედიტო ბარათის დავალიანების მეორის აღებით გასტუმრება, პრობლემის გადაწყვეტა არ არის. ასეთი პრაქტიკა, საბოლოო ანგარიშით, მსესხებლისთვის დამღუპველია, რაც ხშირად სოლიდური უძრავი ქონების, ელემენტარულად, საცხოვრისის დაკარგვით მთავრდება, რადგან კაცი საგადასახადო ტვირთს ვეღარ ერევა. ამ პროცესს „კლასიკური საკრედიტო გზა“ ჰქვია, ამდენად, მის შესაჩერებლად საჭიროა, რომ, ერთი მხრივ, მომხმარებელმა ბოლომდე გაიაზროს ძვირადღირებული საბანკო პროდუქტების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები, მეორე მხრივ კი, კომბანკებმა ადეკვატურად უნდა შეაფასონ თავიანთი კლიენტების ფინანსური პოტენციალი და სრული პასუხისმგებლობით მიუდგნენ სესხების გაცემას.

შესაბამისად, ჩვენ ორი მიმართულებით ვმუშაობთ: პირველი – ბანკები მაქსიმალური პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ საკრედიტო პოლიტიკას და კლიენტის მოთხოვნებს მოარგონ იგი, მეორე კი იმ პროდუქტების მაქსიმალური გამჭვირვალობის დამკვიდრებაა საჭირო, რათა მომხმარებელმა კარგად გაიაზიროს ყველა ის საფრთხე, რომელიც ასეთი პროდუქტების მოხმარებას ახლავს, – ასეთია ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის პოზიცია.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პრობლემისადმი ეროვნული ბანკის დამოკიდებულებას საკმაოდ „თავისებურად“ (სიტყვა „ცინიკური“, უბრალოდ, არ გვინდა ვიხმაროთ) მიუდგა „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი **ირაკლი გილაური,** რომელმაც, კერძოდ, განაცხადა:

– ასპროცენტიანად მართლები რომ იყოთ, მაშინ ჩვენ ბანკირები აღარ ვიქნებოდით. ცხადია, შეუძლებელია, ყველა სესხი სწორად გავცეთ, მეორეც ის, რომ გარეშე პირობებიც იცვლება – ვთქვათ, კაცმა შეიძლება სამსახური დაკარგოს, რაიმე სხვა ფორსმაჟორი მოხდეს, მაგრამ აღნიშნული კატეგორიის წილი გაცემული სესხების მთლიან მოცულობაში 2 პროცენტზე ნაკლებია, თუმცა კი, არც ის გვინდა, რომ ეს მცირე ოდენობაც იყოს.

– ეს გახლავთ „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის პოზიცია. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ კლიენტის სრული ინფორმირებულობა მოხმარებული საბანკო პროდუქტის შესახებ თავად ბანკის ინტერესებშია.

რამდენად ემთხვევა ბანკის მოსაზრება და საჯარო განცხადება არსებულ რეალობას, თავად შეგიძლიათ განსაჯოთ ბატონებო, თუმცა კი, ყურადღების მოდუნებას მაინც არ გირჩევთ.

ოთარ ტურაბელიძე

„ხმა კატამონთან“

ᲫᲣᲩᲐᲨᲘ მანქანები დაჰქრიან. ნახევრად სუნთქვაშეკრული ადამიანები სადღაც მიიჩქარიან.

ათასში ერთი თუ აქცევს ყურადღებას გარეშემოს!

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის პარკში კი, ტკბილად გალობს შაშვი! გალობს მაფშალია და დღის გნიასს ამშვიდებს ქალაქის ცენტრში ჩაყურსული ტყე-პარკის სიგრილე.

გულის ჯიბეში სათუთად მიდევს თვითმფრინავის ბილეთი და მთელი სამყარო ჩემი მგონია.

„მეტროში“ ვიღაცა ლექსებს „აფრქვევს“:

„ჩემი სათქმელი ჩემი ლექსია,
თქვენთან მოვედი, როგორც მესია,
ნუ დამიძრახავთ ამ ჩემს ხეტიალს,
თქვენ რომ გგონიათ, ცოტა მეტია!“...

გული მწყდება, გიჟს რომ უწოდებენ ამ სიტყვების ავტორს.

მე კი, გახარებული ვარ მაინც, – ხვალ, წმინდა მიწაზე მივფრინავ ოჯახთან ერთად! იქნებ, შეგვინდოს უფალმა უნებლიე შეცოდებანი ჩვენი! იქნებ, დაგვილოცოს ჩვენი გზასავალი და ჩემი ცხოვრების შემოდგომისას მაინც, გვაღირსოს წინაპართა სულის სიღრმეში ჩაღვენთილი სურვილის აღსრულება, – ხილვა იერუშალაიმისა!

...თვითმფრინავმა ცა გადასერა და დასავლეთისკენ აიღო გეზი. მერე, ოდნავ მარცხნივ გადაუხვია და ევროპის ცის ლაჟვარდს უთხრა სალამი.

სულ რაღაც, ორიოდ საათში ღრუბლებმა გადაიყარა და ილუმინატორიდან გამოჩნდა დედამიწა. ჩამავალმა მზემ მოჰფინა ნათელი არეს. თვალზურმუხტით მოოჭვილ დიადემად ერტყა ისრაელი ხმელთაშუა ზღვას!

ბედნიერი ვარ! – წმინდა მიწაზე ვეშვებით! ხვალიდან კი, მოწიწებას მივაგებთ ჯვარსა და კატამონს, ნაზარეთსა და თაბორს, ბეთლემსა და კაპერნაუმს. ფეხით დავივლით გალილეას და განვიბანებით იორდანეში. მუხლებს მოვიყრით წმინდა გიორგის საფლავთან და ღვთისმშობლის სამარადისო სასუფეველთან ვეზიარებით ჭეშმარიტებას; ზეთისხილის ბაღში, მრავალთა ერთა ტაძრიდან ნიშნის მოგებით გავხედავთ სულეიმანის ამოქოლილ კარიბჭეს, „ლომების ჭიშკრით“ შევაღწევთ უძველეს გალავანში; გოლგოთას და „ვიადოლოროსას“ აღმართზე ვეამბორებით ქრისტეს ნატერფალს და გოდების კედელთან დავტოვებთ შესანდობარს, მაგრამ მანამდე შევხვდები ჩემს ებრაელ ძმასა და მეგობარს, დანიელ შალელაშვილს. მე და დანიელი თანაჯგუფელები ვართ. მახსოვს, გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, ცოლ-შვილთან ერთად მეწვია ოჯახში დანიელი და მოულოდნელად განმიცხადა:

– ზაურ, მე მივდივარ!... ალია საქართველოდან!... გამოსამშვიდობებლად მოვედი!... წინაპრების მიწა მეძახის... ხვალ მივემგზავრები და...

მაშინ, ეგვიპტე- ისრაელის ომი მძვინვარებდა და მემცხეთა ეს ნათქვამი...

...ჩვენ სევდიანი ცრემლებით გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს.

მას შემდეგ არ მინახავს დანიელი! ახლა კი, აქ, ისრაელის მიწაზე ტკბილი ქართული ენით, თვალზე სიყვარულის ცრემლმომდგარნი ვიხსენებდით საქართველოს!

... რეჰოვოტში ვართ, საუნივერსიტეტო ქალაქში და საღამოს მყუდროებას ვუგდებთ ყურს.

წყნარი საღამოა. ვითარცა თბილისში, ისრაელის მიწაზეც ნაზად გალობს შაშვი, გურგურებენ გვრიტები, თავის „შვილო გოგიას“ უხმობს გუგული! აქ, ყვავებიც კი, თითქოს, მტრედებად ქცეულან და ისე უშიშრად დასეირნობენ ქუჩა-სკვერებში, რომ ლამის არის გამოგელაპარაკონ ადამიანს.

ამ მიწაზე რწმენა და ერის სიყვარული დააბიჯებს ყოველ კიდე-განში.

აივანზე ვსხედვართ მე და დანიელი. ვზივართ და ვიხსენებთ გრანელს, ვიხსენებთ ვაჟას, ვიხსენებთ აკაკის და ილიას, ვიხსენებთ შოთას და ენას საქართველოისას.

– დედის ძუძუსავით ტკბილია ენა ქართული!... გახსოვს, როგორ უგალობა ქართულ ენას ბატონმა ირაკლი აბაშიძემ?... „ხმა კატამონთან!“... – ამბობს დანიელი.


ჯვრის ტაძრის ეზო (ხელი).


ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘ.

და ჩვენ ხმამაღლა ვკითხულობთ ქართველ მესიტყვეთა შედევრებს:

„– ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ...“

ბაგიდან ვაცლით ერთმანეთს სტროფებს.

...შრიალებდა ქართული პოეზიის საღამო ისრაელის წმინდა მიწაზე!

სადღაც მიაკივლა მიკიოტმა. შუაღამე გარდასულიყო უკვე.

დანიელი წამოდგა. მკლავები გაშალა და სევდანარევი სიამაყით წარმოსთქვა წასვლისას:

– „ვაჰ, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ რა ზნე გჭირსა...“

...ხვალ ჯვარი მელოდება, – ქართველთა სავანე!

... და დაიწყო ჩემი მოგზაურობა იეროშწმინდა მიწაზე, მაგრამ მე ხომ მხოლოდ ტურისტად არ ჩამოვსულვარ აქ? მინდა, თქვენთან ერთად მოვიარო დიდი ისტორიის მცირედი ნაწილი მაინც და მის გაკვალულ ბილიკებს გავეთამაშო, რადგან, ვიცი, შთამომავალთა სულიერი აღმაფრენა წინაპართა ბილიკებით დაიარება საუკუნეთა ლაბირინთებში.

...ავტობუსი, თითქოს, მიედინებაო შესანიშნავ გზატკეცილზე. მარჯვნივ და მარცხნივ იღვრება ათასგან ამოკითხული ფოლიანტები. ფოლიანტები, რომლებიც მიყვებიან ერის ბიოგრაფიას: – რომ იყო ღვთის თაყვანისცემა და „ღვთის გმობა“, რომ იყო უდაბნოსა შინა 40-წლიანი ხეტიალი და სინანული, და დაბრუნება!...

...ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით XIX-XVIII საუკუნეებში ეგვიპტურ წყაროებში მოიხსენიება იერუშალაიმი, – იერუშ, წმინდა ქალაქი-სახელმწიფო – ქალაქის მმართველი ატყობინებს ფარაონ ამენჰოტეპ მეორეს, ქალაქს ემუქრებიანო ჰაბირუსები!...

მერე, ბიბლიაც ღაღადებს იერუშალაიმზე... იკინძებოდნენ საუკუნეები და ვინ იცის, რამდენი სიცოცხლე დაიღუპა ამასობაში! მერე იყვნენ ტიბარელები... იყო ტომთა შეჯახება და ბენიამინის მოდგმის სიყოჩაღე!...

მეორე ათასწლეულის ბოლო წლებში კვლავ დაბრუნდნენ იებუსელები იერუშალაიმში. აქ გადმოიტანეს წმინდა კირიათი და აღთქმის კიდობანი. და დიდმა დავითმა იერუშალაიმი ისრაელის დედაქალაქად აქცია კვლავ. შემოავლო ქალაქს მძლავრი გალავანი და განძლიერდა ქვეყანა!

დავითის ძის, სოლომონის მმართველობის დროს იერუშალაიმი კიდევ უფრო გაძლიერდა... მაგრამ, მერე, ისრაელი ორად განიყო...

ეს მოხდა პირველი ათასწლეულის დასაწყისში!

იერუშალაიმი მხოლოდ იუდეველთა დედაქალაქი გახდა და მას დავითის შთამომავალნი მართავდნენ. ეს საუკუნეები იყო აღმავლობის საუკუნეები იუდეველთათვის. მაგრამ დადგა ჟამი, როცა ეგვიპტის ფარაონი შეიჭრა იუდეაში. ებრაელებმა მას დიდძალი ხარკი მიართვეს და ხმლის ნაცვლად, ოქრო-ვერცხლით დაიცვეს თავიანთი დამოუკიდებლობა!... მერე იყო მეფე იოაში! – ნგრევა და ვაება! იუდეიის მომდევნო მეფემ, ხაზკიამ კი, კვლავ აღადგინა წმინდა ქალაქი. იდგა პაპანაქება ცისქვეშეთში. „ხამსინი“ ახრჩობდა ამ კიდე-განს.

წყალი, წყალი თუ შეუნარჩუნებდა ადამიანებს ცხოველმყოფელობას და წყალგაყვანილობათა მთელი სისტემით დაარწყულეს ერი.

...ავტობუსი პატარა, ლამაზ „ტრაქტირთან“ შეჩერდა.

– ვისაც სურს, აქ შეუძლია წყალი შეიძინოს!... – გამოგვიცხადა მძღოლმა და მანქანის ძრავი არც გამოურთავს. თვალის მერქაში ორიოდე მგზავრი ჩავიდა და მყისვე ამოვიდნენ. ავტობუსი კვლავ გაუყვა სავარგულებს შორის აყვავებულ გზა-შარას. ამ უწყლო ქვეყანაში წყალს თვალისჩინივით უფრთხილდებიან ადამიანები და იგი ძალიან ძვირიც ღირს! ასე ყოფილა მაშინაც!... ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე თუ მეექვსე საუკუნეებშიც. მეფე ხიზკიამ ამიტომაც დაისახა უპირველეს პრობლემად იერუშალაიმის წყლით უზრუნველყოფა. კმაყოფილმა ხალხმა გააძლიერა ქვეყანა. ძლიერი იერუშალაიმის აღება კი, ვერ მოახერხა თვით, ასურეთის მეფე სინაქერიბმაც, მაშინ, როდესაც, მის მახვილს ვერ გაუძლეს დამასკომ და სამარიამ.

მერე იყო ეგვიპტე-ბაბილონის ქიშპი... ნაბუქოდონოსორმა ალყა შემოარტყა იერუშალაიმს და იუდეველები აიძულა დანებებულიყვნენ. ციხე-ქალაქი მიწასთან გასწორა და მთელი მოსახლეობა ტყვედ აიყვანა, – 100000 ებრაელი კი, ბაბილონში გადაასახლა. მაგრამ მოვიდნენ სპარსნი და ბაბილონს კუდით ქვა ასროლინეს. სპარსეთის უდიდესი მეფის კიროს მეორის ანდერძითა და ბრძანებით, ებრაელებს ნება მიეცათ დაბრუნებოდნენ თავიანთ სამკვიდროს, კვლავ აღდგენილიყო ფერფლიდან იერუშალაიმი, მისი სარწმუნეობა და სალოცავები!... მართალი გითხრათ, არ მახსოვს მერამდენე დარიოსმა დაასრულა ეს ანდერძი საბოლოოდ, მაგრამ ვიცი, დიდი კიროსის ერთ-ერთმა შთამომავალმა დარიოსმა დააგვირგვინა თავისი დიდი წინაპრის დანაბარები!... ეს ნამდვილად ვიცი!... იუდეველნი დღესაც მოწიწებით მოიხსენიებენ კიროსსა და დარიოსს!

„ᲮᲛᲐ ᲙᲐᲢᲐᲛᲝᲜᲗᲐᲜ“

მეხუთე საუკუნის შუა ხანებში, სპარსეთის მეფემ, არტაქსერქსე სამართლიანმა იერუშალაიმის მმართველად ებრაული მოდგმის ნეემია დანიშნა, რომელმაც კვლავ აღადგინა აღსადგენი და უფრო გაამდიდრა და გაამრავლა იერუშალაიმის მრევლი.

...332 წელს იერუშალაიმი უომრად ჩაბარდა ალექსანდრე მაკედონელს და რილიგიური თავისუფლება მიენიჭა ქალაქს. იგი ეგვიპტის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი გახდა!

...მეორე საუკუნის დასაწყისში სელევკიდებმა დაიპყრეს წმინდა მიწა. ანტიოქიის ერთთ-ერთმა უზენაესმა ანტიოქემ, ტრადიციული ცხოვრებისა და საკუთარი რელიგიის მიმდევრობის თავისუფლება დაუმტკიცა იერუშალაიმს, მაგრამ ანტიოქე მე-4 კვლავ მკაცრად მოექცა ებრაელთ, – აკრძალა ებრაელთა ღმერთების სუფევა და უზენაეს ღმერთად ზევსი გამოაცხადა!... ებრაელები აზვავდნენ! შვიდთა წამებულთა მაკაბელთა ძმათა სახელით, თვით მაკაბელნი ჩაუდგნენ სათავეში აჯანყებას და იერუშალაიმი კვლავ დაიბრუნეს. იქ, კვლავ, თავიანთი „უფლის თაყვანისცემა“ აღადგინეს!... თითქოს, საბოლოოდ დაარსდა იუდეის სამეფო, დედაქალაქით, იერუშალაიმი! ...მაგრამ არ ისვენებდნენ საუკუნეები! კვლავ აბობოქრდა ქარიშხალი!... 64 წელს სელევკიდები რომის იმპერიამ შეცვალა. 63 წელს კი, რომაელთა სარდალი გნეუს პომპეუსი იერუშალაიმში შემოვიდა!...

– ...ეჰ, გნეუს, გნეუს!... წინა წლებში საქართველოშიც მოგიხდა „გასეირნება“, მართალია, აღმოსავლეთში ქართლი დავიპყარიო იძახდი, მაგრამ დასავლეთში კოლხები დაგიხვდნენ მაგრად და უშიშრად... იძულებული გახდი „ძმად და მეგობრად“ გეღიარებინა ისინი!... თორემ, ნახავდი როგორ ჩახვიდოდი იერუშალაიმში!...

ღიმილმა გადამიარა სახეზე და მიმიხვდა სავარძელში მეზობლად მჯდარი კაცი.

– სასიამოვნო სიომ გადაგირბინათ სახეზე, ჩემო ქართველო!!...

– ვაჰ!... ქართველი?... – გამაოცა მოულოდნელობამ და გამართულმა, თბილმა ქართულმა!

მანაც შემატყო გაოცება!

– ...ბოდიში, ძამია!... არ მინდოდა შეგეწუხებინეთ და აქამდე ჩუმად ვიჯექი, მარა... ვერ მომითმინა გულმა!... მეც ქართველი ვიყავი ადრე... საქართველოდან! ახლა თელ-ავივში ოპტიკის პატარა მაღაზია და სალონი მაქვს, შენი ჭირიმე! „ოპტიკა ზურაბი“ დავარქვი!... შემომიარეთ, ვისაუბროთ ქართულად!... მიხარია ქართველს რომ ვხედავ!...

...შემომეგება ჯვართან ქართული სიტყვა და ასე მეგონა, მთელს ქვეყნიერებას ესმოდა ჩემთა ძველთა ამოძახილი, – ხმა კატამონთან!...

ᲖᲐᲣᲠ ᲤᲘᲤᲘᲐ.
ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲬᲐ. 2014.
ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲐ ᲤᲘᲤᲘᲐᲡᲘ.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ)

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ხუთდღიანი ომის“ გაკვეთილების შესახებ

8 აგვისტოს ექვსი წელი სრულდება რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის დაწყებიდან, რომლის შედეგადაც საქართველომ თავისი ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგა. მაშინ სარკოზი-მედვედევის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, დასავლეთმა შეძლო, შეეჩერებინა რუსეთის ჯარების მოძრაობა თბილისისაკენ. მაგრამ ამ შეთანხმების ერთ-ერთი საკვანძო პუნქტი — რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან — მაინც არ შესრულდა. ამჟამად უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შუქზე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ 2008 წლის მოვლენები არ იყო შემთხვევითი, არამედ ეს იყო კრემლის მიერ დაგეგმილი აქცია. ამიტომ საუბარი საქართველოს ელჩთან უკრაინაში მიხეილ უკლებასთან რუსეთ-საქართველოს ომის გაკვეთილებით დაიწყო.

„გამოწვევების წინააღმდეგ ჩვენ ვიბრძვით ჩვენი წარმატებებით...

— მთავარი გაკვეთილი ჩვენთვის — ესაა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია. იქ არის რუსეთის საოკუპაციო ჯარები. მავთულხლართები საქართველოს შინაგან საზღვარშია — ოკუპირებულ და არაოკუპირებულ ტერიტორიებს შორის. ახლა კი სურთ, ზოგიერთ მონაკვეთზე მავთულხლართების ნაცვლად ააგონ რაღაც ბერლინის კედლის მაგვარი.

ეს ომი 2008 წლის აგვისტოში კი არ დაიწყო, არამედ 1992 წლიდან აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, როდესაც ჩვენ შეგვატაკეს აფხაზებსა და სამხრეთოსეთელებს. როდესაც მოგვასიეს კაზაკები, სამხედროები ჩრდილოეთი კავკასიიდან. ეს ყოველივე ჩვენ გავიარეთ და გავიგეთ, რომ მშვიდობასა და განვითარებაზე უფრო ძვირფასი არაფერია.

საოკუპაციო რეჟიმში ცხოვრება არ ვითარდება. და ოკუპირებული ტერიტორიები, იქ მცხოვრები ხალხი არ შეიძლება იყოს წარმატებული, როდესაც უცხოელის „ჩექმებქვეშაა“.

ამიტომ ამჟამად საქართველო აქცენტს აკეთებს რეფორმებზე ეკონომიკაში, მის ლიბერალიზაციაზე, გადასახადების შემცირებაზე 23-დან 6-მდე, ბრძოლაზე კორუფციასთან. ამის წყალობით ამჟამად ჩვენ ხარისხობრივად სხვა ეტაპზე ვართ — ვავითარებთ პენიტენციალურ სისტემას, ვახორციელებთ პროკურატურის, სასამართლო სისტემის რეფორმას.

და, რასაკვირველია, ჩვენს მიერ არჩეული გზები შეესაბამება ხალხის მოთხოვნებს. ჩვენ გვქონდა რთული კოჰაბიტაციური პერიოდი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელისუფლება და ოპოზიცია იზიარებდნენ აზრს ევროპული ინტეგრაციისა და ნატოში შეცვლის კურსის უცვლელობასთან დაკავშირებით. ახალმა ხელისფულებამ დააჩქარა პარაფირება, ევროკავშირთან ასოციირების შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია.

ეს ნაბიჯები ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებით კეთდება — ესაა ჩვენი ცივილიზებული არჩევანი იმისათვის, რომ გავხდეთ ევროპული, ნორმალური და წარმატებული ქვეყანა.

ჩვენ დიდი, პრეტენზიები არ გაქვს, ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა, გვინდა, ვიყოთ წარმატებული სახელმწიფო, რომ ჩვენმა ხალხმა იცხოვროს ადამიანურად, როგორც ცხოვრობენ ევროპის ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ იქაც აქვთ თავიანთი პრობლემები. მაგრამ სულ ერთია, ეს შეუდარებელია იმ გამოწვევებთან, რასაც ჩვენი ქვეყანა ხვდება, მე უკვე აღარ ვლაპარაკობ რუსეთის აგრესიასა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

გამოწვევების წინააღმდეგ ჩვენ ვიბრძვით ჩვენი წარმატებულობით, ეს კი ყველაზე საუკეთესო მაგალითია მოსახლეობისათვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

— რას იტყოდით დასავლეთის შესახებ, გამოიტანა მან გაკვეთილები რუსეთის ომიდან საქართველოში, თუ რუსეთის აგრესიას გავითვალისწინებთ ამჟამად უკრაინის წინააღმდეგ.?

— რასაკვირველია, ამჟამად დადგა ჭეშმარიტების მომენტი. მაშინ, 1990-იან წლებში ჩვენ გვქონდა დასავლეთთან პატარა სოლიდარობა რუსეთის მოქმედებებთან დაკავშირებით, რომელმაც მოახდინა აფხაზეთის კონფლიქტის პროვოცირება, იბრძოდა საქართველოს წინააღმდეგ, შემდეგ გახდა შუამავალი და მშვიდობისმყოფელი. ეს არა მხოლოდ პარადოქსული იყო, არამედ გახდა სრული აპოკალიფსი. რუსეთის სწორედ შუამავლობამ და მშვიდობისმყოფელობამ მიგვიყვანა 2008 წლის ომამდე. რისთვისაც, სხვათა შორის, რუსეთი ემზადებოდა, ისევე როგორც ემზადებოდა ომისათვის უკრაინასთან. უნდა აღინიშნოს, რომ იგი გაცილებით უფრო ხარისხიანად და უკეთ მოემზადა ვინაიდან გაითვალისწინა საქართველოსთან ომის გაკვეთილები. მაშინ ბევრმა დაინახა, რომ რუსეთის არმია ვერ უპასუხებდა თანამედროვე არმიის კრიტერიუმებს.

თუ ევროპის როლზე ვისაუბრებთ, ჩვენ შემთხვევაში პრაქტიკულად არ ყოფილა არანაირი მხარდაჭერა. ჩვენ ვიყავით ერთი-ერთზე რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ, და არავინ არაფერს აკეთებდა. გაერო და ეუთო უბრალოდ ადევნებდნენ თვალყურს და გაოცებული იყვნენ, ღებულობდნენ რეზოლუციებს, და ყველაფერი ამით დამთავრდა. არავინ ამბობდა, რომ რუსეთი — არა შუამავალი, არამედ აშკარა აგრესორია.

ის, რაც მოხდა ჩვენს შემთხვევაში, სრული მოულოდნელობა იყო. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი მთელი მსოფლიოს თვალწინ თავს დაესხა მეზობელ ქვეყანას, მოახდინა 26 ათასი კვადრატული კილომეტრის ანექსია, წაგვართვა ტერიტორიის 20 პროცენტი.

ახლა კი ის, რაც დონბასში ხდება, ძალიან ჰგავს იმას, თუ როგორ დაიწყო ყოველივე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მეორე მხრივ, არ შეიძლება შევადაროთ დასალეთის, ევროპის სოლიდარობა უკრაინასთან ურთიერთობას ამჟამად, ვიდრე ეს იყო ჩვენთან დაკავშირებით 2008 წელს.

— ზოგიერთმა ქვეყანამ დაუშვა უხეში შეცდომა, როდესაც არ მიანიჭეს საქართველოსა და უკრაინას ნატოს სამიტზე 2008 წელს მაპი. აგზავნიან თუ არა სწორ სიგნალებს ახლა იგივე ქვეყნები, როდესაც აცხადებენ, რომ ამჟამად უელსში სამიტის წინა პერიოდში არ არის დრო ვისაუბროთ მაპის შესახებ ჩვენი ქვეყნებისათვის?

— საქართველო — ნატოს სერიოზული მოკავშირეა და მან ეს მხოლოდ სიტყვით არ დაამტკიცა. ჩვენ ვართ მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი თანამონაწილე. 1500 ჩვენი ჯარისკაცი ავღანეთში იმყოფება. მანამდე იყვნენ ერაყში. მიგვაჩნია, რომ უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი საერთაშორისო უშიშროებაში, და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ძალისხმევა და პროგრესი რეფორმების რეალიზაციაში, აგრეთვე ის, რომ უარი არ გვითქვამს განზრახვაზე, შევიდეთ ნატოში, აუცილებლად აღინიშნება უელსში სამიტზე. რა ფორმით იქნება ეს გაკეთებული, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

დასავლეთის მიერ ჩვენი მისწრაფებების უგელებელყოფამ მიგვიყანა იმასთან, რაც ხდება უკრაინაში. ხოლო თუ უგულებელყოფენ მოვლენებს უკრაინაშიც, ეს ცუდად აისახება ევროპაზე. სამწუხაროდ, მე ამაში, დარწმუნებული ვარ.

— როგორ აიძულებს დასავლეთი რუსეთს, მოიქცეს ცივილიზებულად?

— საერთაშორისო გაერთიანება სხვადასხვა ფორუმებსა და სხვადასხვა ფორმატებში ეუბნება რუსეთს, რომ იგი არღვევს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, არ ასრულებს მისი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილ შეთანხმებებს წელს. ჯერჯერობით არაფერი გვშველის, იმედს ვიქონიებთ, რომ შემოღებული სექტორალური სანქციები აიძულებს რუსეთს, შეიმეცნოს თავისი პასუხისმგებლობა.

მაგრამ ჩვენ გვაღელვებს ორმაგი სტანდარტების გაჩენა ყველაზე ცივილიზებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებიც უნდა იყვნენ მაგალითი, და ჩვენ გვეუბნებიან ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიულ საზოგადოებაზე, და ყველაზე ცუდი არის ის, რომ ეს ხდება ჩვენ ანგარიშზე.

„იმას, რაც ამჟამად ხდება უკრაინაში, ქართველებზე უკეთ მსოფლიოში ვერავინ გაიგებს“

— რა კომენტარს გაუკეთებდით სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის აღძვრას, ამან ხომ შეიძლება ზიანი მიაყენოს თქვენი ქვეყნის იმიჯს?

— პროკურატურა, როდესაც ღებულობს ასეთ გადაწყვეტილებას, მას ესმის მნიშვნელობა და კისრულობს პასუხისმგებლობას, საკითხი ხომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს შეეხება. უნდა დაველოდოთ, მიმდინარეობს საგამოძიებო პროცესი, იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება. ციხეში უკვე არის ყოფილი პრემიერი, დაპატიმრებულია თბილისის მერი (შესაბამისად — ვანო მერაბიშვილი და გიგი უგულავა). მათ წაუყენეს ბრალდებები რამდენიმე მუხლით. საქართველოს მთავრობას ესმის სიტუაციის სირთულე. ვინაიდან ამ პროცესებს თვალყურს ადევნებს საერთაშორისო გაერთიანება.

ჩვენმა ხელისუფლებამ მოიწვია ცნობილი პროკურორები, რომლებსაც აქვთ დიდი გამოცდილება იმ საქმეებში, რომლებიც შეეხება ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს. ეს პროკურორები კონსულტაციებს უწევენ საქართველოს მთავრობას, რომელიც აცხადებს, რომ ეს კეთდება გამჭვირვალობისთვის. მთავრობა მზადაა, წარუდგინოს ეს დოკუმენტები, რომ აღარ იყოს შეკითხვები ხელისუფლების მოქმედებასთან დაკავშირებით პოლიტიკური წინასწარგანზრახულობის მიზნით.

(მასალა იბეჭდება შემოკლებით)

დედამიწის ზურგზე

მეცნიერებმა მექსიკის ყურის ფსკერზე აღმოაჩინეს „მკვდარი ზონა“, რომლის ფართობიც 13 ათასი კვადრატული კილომეტრია

ყოველწლიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ტეხასისა და ლუიზიანას შტატების ამერიკის სანაპიროს რაიონში წყალი შეიცავს ძალიან ცოტა ჟანგბადს, რაც მას გამოუყენებლად ხდის ზღვის ცხოველებისათვის. ჩამდინარე წყლების გამო, რომლებსაც არ მოაქვს სასუქები სოფლის მეურნეობის საწარმოებისაგან, ფსკერი დაიფარა წყალმცენარეებით, რომლებიც დეფიციტს ქმნიან ჟანგბადისათვის.

საუდის არაბეთმა ლიბანს ისლამისტებთან ბრძოლისათვის მილიარდი დოლარი გამოუყო

ლიბანელი სამხედროები საზღვარზე იგერიებენ ბოევიკების შეტევებს, რომლებიც უტევენ სირიის მხრიდან. ბრძოლები 2 აგვისტოს დაიწყო. მოკლულია 16 ლიბანელი სამხედრო მოსამსახურე და 3 მშვიდობიანი მოსახლე. ლიბანის მოქმედებას მხარი დაუჭირეს გაეროში. ამ დროს ბეირუთი ითხოვს, დაჩქარონ ქვეყანაში ფრანგული იარაღის მიწოდება, რასაც ადრე ერ-რიადი იხდიდა.

ნასა აღასტურებს ალაბამაში გასულ უქმე დღეებში მეტეორიტის ჩამოვარდნას

მეტეორი კი, რომლის დიამეტრიც 15 სანტიმეტრია და წონა დაახლოებით 45 კილოგრამი, აფეთქდა ცაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთში და იგი მოხდა სამოყვარულო ვიდეოკამერის ობიექტივში. „ნასა“ ეძებს იმათ, ვინც თვალყურს ადევნებდა ნამსხვრევების ჩამოცვენას ვაისის ტბის მიდამოებში. რამდენიმე დღის შემდეგ დედამიწის მცხოვრებლებს მოუწევთ თვალყური ადევნონ ერთდროულად სუპერმთვარესა და მეტეორიტეტების წვიმას.

ჩინეთში მიწისძვრის მსხვერპლთა რიცხვი 589 კაცამდე გაიზარდა, დაზიანდა მილიონზე მეტი კაცი

მიწისძვრამ დაანგრია ან დააზიანა ათობით ათასი სახლი. 2401 კაცმა მიიღო ჭრილობა, თითქმის 30 ათასი კაცი ევაკუირებულია უბედურების ზონიდან. მაშველები ასუფთავებენ ნანგრევებს, მათ უკვე შეძლეს რამდენიმე ცოცხალი ადამიანის პოვნა.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტი (KRRIP)

პროექტის № P117152

დავალების სახელწოდება: საკომპენსაციო ხეების დარგვის გეგმის მომზადება კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში

კონტრაქტი/RFP № KRRIP/CS/ICS-04
საიდენტიფიკაციო № KRRIP PP, პუნქტი №11

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **„საკომპენსაციო ხეების დარგვის გეგმის მომზადება კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში"**.

დაინტერესებულმა ინდივიდუალურმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო კვალიფიკაციის და შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. შერჩევის კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება;
- სპეციფიკური გამოცდილება;

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 1 თვე.

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – "*მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]*" (2011 წლის იანვრის გამოცემა, „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი პარტნიორების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მოსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების (2004 წლის გამოცემა, განახლებული 2011 წლის იანვარში) V ნაწილით -"ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა - მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება" - განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვის და მასზე თანდართული შრომითი ბიოგრაფიებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 22 აგვისტოს 17:00 საათისა**.

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 348
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Kakheti Regional Roads Improvement Project (KRRIP)

Project No. P117152

Assignment Title: Preparation of a compensatory tree planting plan under Kakheti Regional Roads Improvement Project (KRRIP)

Contract/RFP No: KRRIP/CS/ICS-04
Reference No. KRRIP PP, Item No.11

Georgia has received financing from the World Bank towards the costs of the Kakheti Regional Roads Improvement Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites individual consultants to express their interest in providing the following services: **"Preparation of a compensatory tree planting plan under Kakheti Regional Roads Improvement Project (KRRIP)".**

Interested individual consultants shall provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services.

The selection criteria are:

- General experience;
- Similar experience.

The estimated duration of the assignment is 1 month.

Note: The Road Department reserves its right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

An individual consultant will be selected in accordance with the procedures set out in Section V: "Selection of Individual Consultants" of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants by World Bank Borrowers (May 2004 edition, revised January 2011).

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest accompanied by CVs and other relevant information electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **August 22, 2014, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08, ext. 348
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

ალიანჩალიანი

ბობოყვათის თემის ყოფილი რწმუნებული დააკავეს

საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების დაუფლების, სამსახურებრივი სიყალბის და ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათის თემის ყოფილი რწმუნებული იაშა მახარაძე დააკავეს.

მასთან ერთად დაკავებულები არიან ასევე მოქალაქეები ბადრი ბასილაძე, როლანდ ბასილაძე და სულეიმან კონცელიძე.

— საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბადრი ბასილაძემ განიზრახა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, აჭარის შემოვლითი გზის მშენებლობის არეალში მოხვედრილი მიწების სანაცვლოდ, მოსახლეობისათვის საკომპენსაციოდ გამოყოფილი თანხის მოტყუებით დაუფლება. გეგმის სისრულეში მოსაყვანად დაუკავშირდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათის თემის ყოფილ რწმუნებულს იაშა მახარაძეს, მოქალაქეებს სულეიმან კონცელიძეს და როლანდ ბასილაძეს, რომელთა დახმარებითაც მოახდინეს ყალბი მონაცემების შეიტანა სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებში, თითქოსდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების, ბობოყვათისა და ციხისძირის ტერიტორიაზე ფლობდნენ და სარგებლობდნენ 17 195 კვ/მ მიწის ნაკვეთით, რის გამოც, კომპენსაციის სანაცვლოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტისგან მოტყუებით მიიღეს 258 858 ლარი, — აცხადებენ უწყებაში.

ინდოელმა ფერმერებმა მიწა უკანონოდ მიითვისეს

გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში მოსახლეობის ნაწილი ინდოელ ფერმერებს უპირისპირდება და მათ საძოვრისთვის გამოყოფილი მიწის უკანონოდ მითვისებაში ადანაშაულებს. ადგილობრივების თქმით, ინდოეთის მოქალაქეებმა გლეხების ნაკვეთებამდე მისასვლელი გზა დაამუშავეს, რის გამოც ნაკვეთებამდე მისვლა უჭირთ. ვეჯინელები ინდოელ ფერმერებს ადგილობრივების ნაკვეთების დაწვაშიც ადანაშაულებენ. მათივე თქმით, არსებული პრობლემების შესახებ ადგილობრივი ხელისუფლება არაერთხელ ჩააყენეს საქმის კურსში, თუმცა, ამ დრომდე, რეაგირება არ მომხდარა.

ინტერპრესი

◎ რაც დავთესეთ...

უეფამ „ჩიხურას“ ანტირასისტული ბანერის გამოფენა დაავალა

გარდა იმისა, რომ უეფამ „ჩიხურა“ – „ბურსასფორის“ მატჩზე ქართველი გულშემატკივრების მხრიდან რასიზმის გამოვლენის გამო საჩხერელები 15000 ევროთი დააჯარიმა, „ნეფთჩისთან“ დღევანდელ საშინაო მატჩში „მიხეილ მესხზე“ ქომაგთა შესვლა ნაწილობრივ შეიზღუდება.

კერძოდ, უეფამ „ჩიხურას“ ხელმძღვანელობა დაავალდებულა, რომ ორ სექტორში, დაახლოებით 482 კვადრატული მეტრის ფართობზე ანტირასისტული ბანერი გამოფინოს. ცხადია, იქ ქომაგები ვერ დასხდებიან. როგორც „ჩიხურას“ გენერალურმა დირექტორმა ბერიკა შუკაკიძემ განაცხადა, ხსენებული ბანერის დამზადება კლუბს 10000 ლარი უჯდება.

ამასთანავე, მან ისიც თქვა, რომ ფეხბურთის ფედერაციაში უეფადან მოვიდა შეტყობინება, რომ კლუბი ბაქოში ფანების მიერ გამოფენილი ბანერისთვისაც დაჯარიმდება. ვინაიდან ეს მიმდინარე გათამაშებაში „ჩიხურასთვის“ მეორე შემთხვევაა, ჯარიმის რაოდენობა შესაძლოა 30000 ევრომდე გაიზარდოს. უეფა თავის ვერდიქტს ქართულ მხარეს 14 აგვისტოს შეატყობინებს.

შუკაკიძემ ისიც დასძინა, რომ უეფა თანამშრომლობს ერთ-ერთ ბრიტანულ ორგანიზაციასთან, რომელიც სწორედ სტადიონებზე რასიზმის ფაქტების, აკრძალული ბანერების გამოვლენაზე და ა.შ. სპეციალიზდება.

რასიზმის გამოვლენისთვის უეფამ „ჩიხურას“ გარდა რუმინული „სტიაუა“, უნგრული „დებრეცენი“ და სლოვენიის „მარიბორი“ დააჯარიმა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჭიდაობა

„ბრინჯაოთი“ დაიწყეს



ახალგაზრდა ფალავანთა მსოფლიოს პირველობას ზაგრები მასპინძლობს. ასპარეზობის პირველ დღეს ბერძნულ-რამაული სტილით ჭიდაობის ოთხ წონით კატეგორიაში გათამაშდა მედლები. ქართველთაგან ერთადერთი ბრინჯაო ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა გელა ბოლქვაძემ (74) მოიპოვა. პირველ წრეში ჩვენებურმა აზერბაიჯანელი სანან აიმირზაევი 2;1 დაამარცხა, სერბ ტომაშ სლაიერს 8:2 მოუგო, მეოთხედფინალში რუს მანსურ გუბაევს 1:0 აჯობა, ნახევარფინალში კი ასეთივე ანგარიშით ირანელ პაიამ ბოუიერთან წააგო. ბრინჯაოს მედლისთვის ორთაბრძოლაში ბოლქვაძემ ხორვატი ფილიპ საჩიჩი დაჯაბნა – 9:0 და, როგორც ვთქვით, მესამე ადგილზე გავიდა.

ვაჟა ნოსირელი

◎ წყალბურთი

დღეიდან – „ოლიმპიკში“

საქართველოს 19-წლამდელ წყალბურთელთა ნაკრები (ირაკლი რაზმაძე, ხვიჩა ჯახაია, ზურაბ ჩიკვაიძე, რევაზ იმნაიშვილი, გიორგი გაბადაძე, ლევან მოსაშვილი, ლუკა კახეთელიძე, ალექსანდრე ყაზახიშვილი, ანდრია ბითაძე, გიორგი მაგრაქველიძე, ვაჟა ფურცელაძე, ნიკა ლეთოდიანი, ალექსანდრე ხამოევი, მთავარი მწვრთნელი იოვან პოპოვიჩი, მწვრთნელი ირაკლი ბაქრაძე) მონდომებით ემზადება 1995 წელს დაბადებულთა ევროპის პირველობის ფინალური ეტაპისთვის, რომელსაც 24 აგვისტოდან თბილისი უმასპინძლებს. ძალების მოსასინჯავად ჩვენი გუნდი დღეიდან საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ თანატოლთა საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება – 8-10 აგვისტოს აქ სახელოვანი წყალბურთელების – როსტომ და ზურაბ ჩაჩავების მემორიალური თასი გათამაშდება. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან საქართველო, ჰოლანდია, რუმინეთი და ბელარუსი. პაექრობათა განრიგი ასეთია:

8 აგვისტო. რუმინეთი-ჰოლანდია, საქართველო-ბელარუსი.

9 აგვისტო. ჰოლანდია-ბელარუსი, საქართველო-რუმინეთი.

10 აგვისტო. ბელარუსი-რუმინეთი, საქართველო-ჰოლანდია.

ახალგაზრდა ქართველი წყალბურთელები ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წინ 14-20 აგვისტოს საწვრთნელ შეკრებას ჩერნოგორიაში გაივლიან.

ლაშა დიდია

◎ მას დაეჯერება

გიორგი ადამია: „ჩიხურასა“ და „ნეფთჩის“ შანსები თანაბარია

გიორგი ადამიას აზრით, რომელიც 2005-2013 წლებში აზერბაიჯანის ჩემპიონატში თამაშობდა და 198 მატჩში 61 გოლი გაიტანა, უეფას ევროპის ლიგის საპასუხო მატჩში „ჩიხურასა“ და „ნეფთჩის“ შორის შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები თანაბარია.

„ორივე გუნდი ფრთხილად ითამაშებს. არცერთი გარისკავს და დიდი ძალებით არ შეუტევს. ორივე ძირითადად იმაზე იფიქრებს, რომ აკურატულად ითამაშონ“, – განუცხადა ინტერნეტპორტალ apasport.az-ს ბოლნისის „სიონის“ თავდამსხმელმა.

მან პირველ შეხვედრაში ბაქოს „ბაქსელ არენაზე“ მომხდარი ფაქტიც შეაფასა:

„ჩემი აზრით, სპორტისა და პოლიტიკის არევა არ შეიძლება. ვფიქრობ, ქართველ გულშემატკივრებს არავის შეურაცხყოფა არ სურდათ. არა მგონია ამ ბანერით მათ რაიმე პოლიტიკური მოწოდებით გამოსვლა უნდოდათ. ბაქოურ მატჩში განვითარებული მოვლენების შესახებ პრესიდან გავიგე. ამ თემაზე, თამაშის მონაწილეებთან არ მისაუბრია“.

ადამიას აზერბაიჯანში „ნეფთჩიში“, (მოაგებინა დსთ-ს თასი), „ბაქიში“, „ყარაბაღსა“ და „ინტერში“ უთამაშია. გატანილი გოლების მხრივ ის ლეგიონერებში რეკორდსმენია, თუ ნატურალიზებულ ფეხბურთელებს არ ჩავთვლით. ნატურალიზებულ ლეგიონერებში კი საუკეთესო გოლეადორი ბადრი კვარაცხელიაა, რომელმაც 71 გოლი გაიტანა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭადრაკი

ქალებმა ჰოლანდიასთან წაიფორხილეს

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები ნებისმიერი გუნდური შეჯიბრების ფავორიტია, ამიტომ მისგან მხოლოდ წარმატებებს ველით, ასეა ტრომსოშიც, სადაც საჭადრაკო ოლიმპიადა მიმდინარეობს. ჩვენმა მანდილოსნებმა სამი ტური უდანაკარგოდ განვლეს და მე-4 ტურში ჰოლანდიელებთან მორიგი ორი ქულის მოპოვება რომ არ უნდა გასჭირვებოდათ, სწორედ მაშინ სწორ ადგილზე წაიფორხილეს. ჩვენი ლიდერი ნანა ძაგნიძე ამჯერად ისვენებდა. მის ნაცვლად პირველ დაფაზე გადაინაცვლა ბელა ხოტენაშვილმა, რომელმაც შავი ფიგურებით ჟაოფინ პენგს 28-ე სვლაზე მოუგო. მეორე დაფაზე ლელა ჯავახიშვილი თეთრებით ანე ჰაასტს 66-ე სვლაზე დანებდა. მომდევნო ორ დაფაზე **სალომე მელია** და **ნინო ბაციაშვილი,** შესაბამისად, ბიანკა მურენსა და ნიდერლანდებში გათხოვილ თეა ლანჩავას დაუზავდნენ. საბოლოოდ – 2:2 და ჩვენებმა პირველი გუნდური ქულა დაკარგეს. სომხეთი-ინდონეზია 0,5:3,5, ირანი-სლოვაკეთი 3,5:0,5, სერბეთი – ინდოეთი – 2,5:1,5, ჩინეთი-აზერბაიჯანი 3,5:0,5, რუსეთი-გერმანია 2,5:1,5, უნგრეთი-კუბა 3:1, უკრაინა-თურქეთი 3:1, ყაზახეთი-კოლუმბია 3:1...

ოთხი ტურის შემდეგ 8-8 ქულით ჩინეთი, ინდონეზია, უნგრეთი, რუსეთი და ირანი მეწინავეობენ. 7ქულით საქართველო მეექვსე ადგილზეა.

ვაუთა ტურნირში მე-4 ტურში მორიგი გამარჯვება იზეიმა საქართველოს ნაკრებმა - 2,5:1,5 დაამარცხა მექსიკის გუნდი: ბაადურ ჯობავა-მანუელ ჰოის ლეონი 1:0, ყილბერტო ჰერნანდეს გუერერო-მიხეილ მჭედლიშვილი 1:0, ლევან ფანცულაია-ჩამი იბარა 1:0, როსას ტორესი-გაიოზ ნიგალიძე 0,5:0,5. საფრანგეთი-აზერბაიჯანი 1,5:2,5, სერბეთი-ჩეხეთი 2,5:1,5, ნორვეგია (1)-პოლონეთი 2,5:1,5, რუსეთი-ჩინეთი 2:2, ჰოლანდია-ისრაელი 2:2, ბულგარეთი-რუმინეთი 2,5:1,5, უზბეკეთი-გერმანია 2:2, თურქეთი-იტალია 3,5:0,5, კუბა-ინდოეთი 2,5:1,5, ინგლისი-ლატვია 3:1. ოთხი ტურის შემდეგ 8-8 ქულით აზერბაიჯანი, ბულგარეთი და სერბეთი დაწინაურდნენ. საქართველომ 7 ქულას მოუყარა თავი.

ლექსო ცინცაძე

◎ კრივი

ევროკავშირის ეგიდით

8 აგვისტოს სოფიაში იწყება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოკრივეთა კონტინენტის პირველობა. **მედლებისთვის 44 სახელმწიფოს წარმომადგენლები იბრძოლებენ.** მათ შორის შვიდი ქართველი იქნება: ოთარ ერანოსიანი (ახალქალაქი, 60 კგ), ირაკლი მელიქიშვილი (თბილისი, 64), ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი ზაალ კვაჭატაძე (თბილისი, 69), გოჩა ბადურაშვილი (თბილისი, 75), ნიკოლოზ სეხნიაშვილი (გორი, 81), ლევან გულედანი (თბილისი, 91) და ევროპის მესამე პრიზიორი მიხეილ ბახტიძე (ქუთაისი, (91). ნაკრების მთავარი მწვრთნელია დავით წიკლაური, მწვრთნელები – შალვა დუნდუა და თემურ ოჩიგავა, მსაჯი – საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ზურაბ ტიბუა. დელეგაციის ხელმძღვანელია საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი დავით კვაჭაძე, ჩემპიონატზე პერსონალურადაა მიწვეული საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი, ევროპის კრივის კონფედერაციის აღმასკომის წევრი ვლადიმერ ახალკაცი.

გივი გაგუა

◎ კალათბურთი

„დინამომ“ ხოშტარიას კონტრაქტი ერთი წლით გაუხანგრძლივა

სუპერლიგის ჩემპიონის და ზურაბ საკანდელიძე-მიხეილ ქორქიას მემორიალის გამარჯვებულის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ირაკლი ხოშტარიას მთავარი მწვრთნელის პოსტზე 2014-15 წლების სეზონის ბოლომდე კონტრაქტი გაუხანგრძლივა. ამის შესახებ საკალათბურთო კლუბ „დინამოს“ პრეზიდენტმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა განაცხადა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 2013-14 წლების სეზონი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, გულშემატკივრებისათვის ხოშტარიას კონტრაქტის გახანგრძლივება მოულოდნელი არ ყოფილა. ჯერჯერობით „დინამოს“ ახალი სეზონისთვის მზადება არ დაუწყია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

პოდიუმი, კალათბურთი და ლიქიორი...

ცნობილი მოდელი და მოცეკვავე დიტა ფონ ტიზი, რომელიც ამავე დროს ამერიკული საკალათბურთო კლუბის „ჩიკაგო ბულზის“ დიდი ქომაგიცაა, ფორთოხლის ლიქიორის მწარმოებელი კომპანიის სახე გახდა. ლონდონში მან მონაწილეობა მიიღო შოუში და წარმოადგინა საავტორო კოქტეილი.

პრეზენტაცია, რომელიც ამ სახით თვითონ მოდელის მიერ იყო მოფიქრებული, გაიმართა ერთ-ერთ თეატრალურ დარბაზში, ლამაზ და სასიამოვნო გარემოში.

ამ ლიქიორის არაჩვეულებრივი არომატი და ბოთლის ლამაზი ფორმა არც მოითხოვს ცვლილებებს. ამიერიდან ეს ლეგენდარული ლიქიორი დიტა ფონ ტიზის განუყრელი თანამგზავრია. ესეც ხომ მოდელის სტილია: ყოველთვის რეტროსა და ბოლო მოდის ტენდენციების ჰარმონია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ მხარე

ქიზიყში გამართულ ქართულ ჭიდაობას სამმაგი დატვირთვა ჰქონდა

2 აგვისტოს დედოფლისწყაროში წმინდა ელია თეზბიტელის (ქრისტეშობამდე 9 საუკუნით ადრე მოღვაწე უდიდესი წინასწარმეტყველი, ვისი „მოსასხამი“ სვეტიცხოველშია დაფლული და თან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მფარველი ანგელოზია) ხსენების დღეს არაერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა, რომელთა შორის სანახაობითა და სიმძაფრით ქართული ჭიდაობა გამოირჩა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ეტაპი ბიძინა მაზიაშვილის სახელობის არენაზე გაიმართა. ტურნირს ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნის მემორიალის სტატუსი მიენიჭა და ის ტრადიციული გახდება. დამსწრე საზოგადოებამ მადლიერებით გაიხსენა ქართული ძიუდოს ფუძემდებელი, ზემო

მაჩხაანელი ბიძინა მაზიაშვილი და მსოფლიო ძიუდოს „პაპად“ შერაცხილი უდიდესი პიროვნებისა და სპეციალისტის ღვაწლს საგანგებოდ გაუსვა ხაზი. როგორც მოგეხსენებათ, გაისად ქართული ჭიდაობა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის არამატერიალურ ძეგლთა შორის დაიმკვიდრებს ადგილს და ჩვენი ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენის დასაჩქარებლად ქართული ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, რომელიც მიმდინარე სეზონის მიწურულამდე გაგრძელდება და საგანგებო დაფაზე თავისი ავტოგრაფის დატოვება საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება. პირველი ხელმოწერის პატივი წილად ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტ თამაზ თამაზაშვილს ერგო. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებგამოვლილი გენერალი შეჯიბრების მთავარი მსაჯიც გახლდათ და უამრავი დაძაბული ორთაბრძოლის მიუხედავად, ჩემპიონატის განვლილი ეტაპი როგორც მონაწილეთა, ასევე ქომაგის მხრიდან განსაკუთრებული კორექტულობით გამოირჩა.

პირველობის ორგანიზატორებმა საპრიზო ფონდი გააორმაგეს (გამარჯვებულებმა ფულადი ჯილდოს სახით 500-500 ლარი მითვალეს, ვიცე-ჩემპიონთა სარგომ 300-300 ლარი შეადგინა, ბრინჯაოს მედალოსნებს კი 200-200 ლარი გადაეცათ) და თან სანახაობის სრულყოფის მიზნით შეჯიბრება აბსულუტურ წონაშიც ჩაატარეს, რომლის სატიტულო შეხვედრაში გორელმა უშანგი კოკაურმა საქართველოს მოქმედი ფალავნის პაატა ღვინიაშვილის ძლევა მოახერხა. თუმცა, სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ღვინიაშვილს თავი 90 კგ. წონის ფინალში მიღებულმა ტრავმამ შეახსენა. ქარელელმა ფალავანმა აღნიშნული წონის გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების იმედისმომცემი წევრი ახმეტელი ზვიად გოგოჭური დამატებით დროში დაამარცხა. დარჩენილ 4 წონაში წარმატებას ქარელელმა ლაშა გიუნაშვილმა (62 კგ), კასპელმა ზვიად ოდოშაშვილმა (68 კგ), ლაგოდეხელმა ალიკ ნანიევმა (73 კგ) და გორელმა გიორგი პაპუნაშვილმა (83 კგ) მიაღწიეს. არაოფიციალურ ჩათვლაში რეგიონთა შორის კვლავ შიდაქართლელი მოჭიდავეები დომინირებდნენ, რომლებმაც 6 წონიდან 5-ში იპირველეს, ქალაქებს შორის კი საუკეთესო შედეგი ქარელმა აჩვენა.

აგვისტოში ქართულ ჭიდაობაში ეროვნული ჩემპიონატის კიდევ რამდენიმე ეტაპი გაიმართება, რომელთა შორის გამორჩეული 10 აგვისტოს დაბა თიანეთში სახალხო დღესასწაულ „თიანეთობა 2014“-ზე ნავარაუდევი შეჯიბრება იქნება.

კოგა კოგახიძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2014 **წლის** 1 ოქტომბერს 13 საათზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №44) გაიმართება შპს „მექანიზატორი 2005“-ის ასფალტის ქარხნის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ასფალტის ქარხნის ექსპლუატაცია და სხვადასხვა ფრაქციის ასფალტის წარმოება.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **შპს „მექანიზატორი 2005“-ის ოფისში - ქ. დედოფლისწყარო, ხორნაბუჯის ქუჩა 21;**
- **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №44;**
- **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.**

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში.

შპს „მექანიზატორი 2005“-ის ადმინისტრაცია

◎ SIC!

ევროპარლამენტის სახალხო პარტიის დეპუტატებო, ამერიკელო სენატორებო!

რამ შეგაშფოთათ? როგორ გაბედეს და ბრალი წაუყენეს საკაშვილს და მის მაღალჩინოსნებსო? რატომ მაშინ არ აღშფოთდით, როცა სააკაშვილმა და მისმა ბანდამ ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა, როცა სწორედ მათი ბრძანებით სასტიკად უსწორდებოდნენ მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს, ოპოზიციის წარმომადგენლებს, როცა ქუჩაში კლავდნენ უდანაშაულო ახალგაზრდებს, როცა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ბრძოლის ველზე უპატრონოდ დატოვეს გმირულად დაღუპული მებრძოლები და დაჭრილები, როცა ცოცხებით და ხელკეტებით აუპატიურებდნენ ციხეებში პატიმრებს, კანონდარღვევით ართმევდნენ მოქალაქეებს კერძო საკუთრებას, ართმევდნენ და არბევდნენ ტელეარხებს, ებრძოდნენ ეროვნულ ღირებულებებს, ღვაწლმოსილ ადამიანებს, სწორედ მათი მმართველობის დროს გახდა საქართველო იარაღისა და ნარკოტრანზიტის ქვეყნად, როცა დიდი რაოდენობა ნარკოტიკებისა რჩებოდა ქვეყნის შიგნით და მრავალი სხვა.

სად, სად იყავით მაშინ, რატომ დუმდით, რატომ არ აღშფოთდით, „სამართლიანობის დამცველნო“?!, გრცხვენოდეთ!!!

„ყოჩალ“, კოდუა!

ეს რა მაღალი ინტელექტის ყოფილხარ, მაგრამ შეგეშალა და თავად აღიარე, რომ ქილერი ხარ (ჩვენ კი ვიცოდით). სწორედ შენ, როგორც ქილერს, დაგავალა პატარკაციშვილმა თავისი უახლოესი მეგობრის მოკვლა? საოცრად არაპროფესიული დავალების შესრულება დაუვალებია შენთვის. ასეთმა ბინძურმა ცილისწამებამ გარდაცვლილი ადამიანის, დიდი ქველმოქმედის მიმართ კიდევ ერთხელ დაგვანახვა ნამდვილი სახე ნაციონალური ხროვისა.

ლონდა მდივანი

◎ იმედი კიაფობს!

ქართულ ენას სახელმწიფო უნდა იცავდეს!

საძვეყნოდ მინდა, გამოვთქვა ჩემი მადლიერება თქვენი გაზეთის მიმდინარე წლის 5 აგვისტოს ეროვნული პოზიციებით გაჟღენთილი პუბლიკაციისადმი — „ქართული განა მარტო ენაა!“ და ვთქვა, რომ ნაცების ზეობისას ქართული ენისადმი არასახელმწიფოებრივ, ამაზრზენ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თუნდაც მარტო თბილისში, თავისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ჩათვლით, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ერთხელაც არ განუხილავთ ეს პრობლემა და არ მიუღიათ სათანადო ზომები მათ მიერ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების იგნორირების გამო.

ღმერთმა ინებოს, რომ თბილისის ახალმა ხელისუფლებამ მაინც უზრუნველყოს ზემოთ აღნიშნული უპირველესი სახელმწიფო კანონის მოთხოვნების დაცვა და ამით, მაგალითი მისცეს ჩვენი ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის სხვა ორგანოებს.

ანზორ ბაბუხადია,
გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი

ნანა, ლელა, დავით, რაულ გვეტაძეები, ხათუნა, ლევან, ომარ გვეტაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის, ღირსეული პიროვნების

პაატა გვეტაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

◎ ალიანჩალიანი

მიწისძვრა საქართველოში

საქართველოში 3,6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის ეპიცენტრი დმანისიდან ჩრდილო-დასავლეთით, 9 კილომეტრში მდებარეობდა.

მიწისძვრა თბილისის დროით 12:20 საათზე დაფიქსირდა. წინასწარი ინფორმაციით, მას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ახალი ავიაკომპანია თეირანის მიმართულებით

თბილისი-თეირანის მიმართულებით ფრენებს ახალი ქართული ავიაკომპანია „Flyvista“ ასრულებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ტურიზმის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, რეისები კვირაში ორჯერ, ორშაბათსა და ხუთშაბათს 4 აგვისტოდან შესრულდება.

„მოხარული ვარ, გაცნობოთ „Flyvista“-ს ფრენების ოპერირების დაწყების შესახებ. ბაზრის კვლევა ცხადყოფს, რომ არსებობს საკმარისი მგზავრთა ნაკადი საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების მარშრუტით და ასევე თბილისი-თეირანის მიმართულებით. დარწმუნებული ვარ, რომ მეგობრული და კონკურენტუნარიანი მოგზაურობის ალტერნატივა ხელს შეუწყობს ტურისტულ საქმიანობას საქართველოში, — აცხადებს „Flyvista“-ს აღმასრულებელი დირექტორი გრეგორი პომერანცევი.

„Flyvista“ დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიაა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს გეგმურ ფრენებს თბილისიდან მეზობელ ქვეყნებში ხელმისაწვდომ ფასად. თბილისი-თეირანი-თბილისის რეისზე ბილეთის ფასი ერთი მიმართულებით დაახლოებით 99 ამერიკული დოლარი ეღირება.

ინტერპრესი

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი (№802-GE) სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის (ASP) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების **გორის მუნიციპალიტეტში არსებული ძევერა შერთულის სარწყავი სისტემის და გარდიგარდმო მაგისტრალური არხის I, სხვა რიგის გამანაწილებლების შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია სათავე ნაგებობის მოწყობით,** კონტრაქტით **№A/W/NCB-2014/05**

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. კონტრაქტების ხანგრძლივობაა **16 თვე.**

2. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2014 წლის 11 აგვისტოდან** (ყოველდღე 12-დან 16 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:

ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;

ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 302004400;

გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი — 4411.

3. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 1 სექტემბრის 12 საათისა,** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

4. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი
თბილისი, მარშალ გელოვანის №6, მე-3 სართული, ოთახი №309

ელ.ფოსტა: l.durmishidze@moa.gov.ge
ტელ. +995 (32) 237-66-48.

◎ მედიამფლობელები დაფრთხნენ

სოციალური რეკლამები პოლიტიკური ელფერით და... დაკარგული ათასები

გაკოტრებული მთავრობა თუ გაკოტრებული ტელევიზიები?

რა არის რეკლამა?

უცხოთა სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, რეკლამა ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს განცხადებას, პლაკატს, რადიოგადაცემას ან სხვა სახის ღონისძიებას მომხმარებელთა, მაყურებელთა და სხვათა მოზიდვის მიზნით; ვისიმე ან რისიმე შესახებ ცნობების გავრცელებას, შექებას მისთვის სახელის მოხვეჭის, მისი პოპულარიზაციის მიზნით. სხვაგან მითითებულია, რომ რეკლამა ბერძნულიდან არის აღებული და „ყვირილს“ ნიშნავს.

კერძო მაუწყებლებში, ასე ვთქვათ „რეიტინგულ“ ტელევიზიებში: „რუსთავი-2“-ზე, „იმედზე“, „მაესტროზე“, ყოველი 15 წუთის შემდეგ 10-12-წუთიან რეკლამებს ვუყურებთ, ანუ ერთსაათიანი ბადის მინიმუმ 20-25 წუთს რეკლამა იკავებს. ეს განსაკუთრებით ეხება იმ დროს, როცა სერიალები გადის ეთერში და ეკრანებთან მაყურებელთა ბუმია. რეკლამის განთავსების წესს არეგულირებს მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-8 თავი, სადაც წერია, რომ: **„საზოგადოებრივი მაუწყებლობის არხზე ტელეშოპინგს დღე-ღამის განმავლობაში ეთმობა არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო კომერციულ რეკლამას არა უმეტეს 30 წუთისა. რეკლამისა და ტელეშოპინგის საერთო მოცულობა 1 საათში არ უნდა აღემატებოდეს 10 პროცენტს, ანუ 6 წუთს“.** კერძო ტელეკომპანიებისთვის სხვა რეგულაციები მოქმედებს: რეკლამის ან ტელეშოპინგის მოცულობა დღე-ღამის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს მაუწყებლობის საერთო ხანგრძლივობის 15 პროცენტს. ტელეშოპინგის საერთო ხანგრძლივობა დღ-ღამეში არ უნდა აღემატებოდეს 3 საათს.

იცავენ თუ არა ამ ნორმებს მაუწყებლები, ამის მონიტორინგი მარეგულირებელი ეროვნული კომისიის პრეროგატივაა, მაგრამ ერთი ჩვეულებრივი მაყურებლის თვალსაწიერიდან თუ ვიმსჯელებთ, მიხვდებით, რომ პრობლემები, უდავოდ არის. ასე თუ ისე, რეკლამა ის მსუყე შემოსავალია, რითაც მაუწყებლები საზრდოობენ.

რა არის „სოციალური რეკლამა“, ამაზე კანონმდებლობაში კონკრეტული რეგულაციები არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, განსაზღვრება ძალიან პირობითია. კანონის თანახმად სოციალური რეკლამა ემსახურება საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობას და მიმართულია საქველმოქმედო მიზნების მიღწევისკენ. იუსტიციის სამინისტრომ რატომღაც მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ სოციალური რეკლამა ყველა სატელევიზიო არხზე 3 საათში ერთხელ 90 წამს უნდა იკავებდეს. კანონპროექტი 2014 წლის 17 ივნისს შევიდა პარლამენტში, რომელსაც დეპუტატები საშემოდგომო სესიაზე განიხილავენ.

„მთავრობას თუ ჰგონია, მის მიერ მოწოდებულ სოციალურ რეკლამას უფასოდ გავუშვებ, ძალიან ცდება!“ — ასე უპასუხა ახალ გამოწვევას „რუსთავი-2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ და მას არც სხვა მაუწყებლთა ხელმძღვანელები ჩამორჩნენ. ისინი ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში მათ შემოსავლებს სერიოზული საფრთხე დაემუქრება. მათი აზრით, რეკლამის განთავსების მსურველი შეიძლება არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია გამოჩნდეს. **„მე, კერძო ტელევიზიას, უნდა მქონდეს დისკრეცია — მინდა გავუშვებ რეკლამას, მინდა — არა. შეიძლება კონკრეტული სოციალური რეკლამა არსებობდეს, რომელიც ჩემს სარედაქციო პოლიტიკას ეწინააღმდეგება“,** — ამბობს გვარამია.

მე კი მახსენდება 2-3 წლის წინათ გაშვებული ვიდეო-რგოლები, რომელიც როგორც საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ისე კერძო ტელეარხებზე სოციალური რეკლამის ეგიდით გადიოდა და მისი დამკვეთი ორგანიზაცია რეკლამის განთავსებისთვის არც ერთ თეთრს არ იხდიდა, მაგრამ... მაშინ, უბრალოდ სხვა დრო იყო, ხოლო ტელეკომპანიები ერთგულად მსახურებდნენ... ბატონს.

„მე მიყვარს თბილისი“ — ეს რეკლამა, ალბათ, ყველას კარგად დაგამახსოვრდათ. თითქოს მასში პოლიტიკური არაფერი იყო, თუმცა, იმთავითვე ასოცირდებოდა მაშინდელ ხელისუფლებასთან და რაღაც საარჩევნო ელფერიც კი დაჰკრავდა. ამ რეკლამის განსათავსებლად კულტურის სამინისტრომ, ჯანდაცვის სამინისტრომ, თბილისის მერიამ და ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრმა თხოვნით მიმართეს საზოგადოებრივ მაუწყებელს, რათა სოციალური რეკლამის სტატუსი მიენიჭებინა. ასეც მოხდა! ასევე შეგახსენებთ რეკლამებს; „მე მიყვარს სვანეთი“, „მე მიყვარს კახეთი“, „მე მიყვარს სამეგრელო“, რომელშიც სანდრა რულოვსი მღეროდა. გვახსოვს, განათლების რეფორმასთან დაკავშირებული რეკლამა, სადაც ბოლო წლების წარმატებებზე იყო საუბარი. ასევე ხშირად გადიოდა რეკლამა პენსიის გაზრდის თაობაზე. ყველას კარგად გახსოვთ რეკლამა „ვარდების რევოლუცია — 8 წელი“ (9 არ დასცალდათ(!). ეს იყო ის სოციალური რეკლამები, სადაც წმინდა სახის პოლიტიკური მოტივები ჩანდა, მაგრამ, უსასყიდლოდ კი გადიოდა ეთერში...

მაშინ სხვა დრო იყო?!

რაც უნდა იყოს, „სოციალური რეკლამის“ ნიუანსებზე პლენარულ სხდომაზე იმსჯელებენ. იუსტიციის სამინისტროს ის წარმომადგენლები, რომლებმაც კანონპროექტზე იმუშავეს, ამჟამად შვებულებით სარგებლობენ, ამიტომ ამ კანონზე კირკიტი ახლა შეუძლებელიც კია. ჯერჯერობით, რაზეც მაუწყებლები აპელირებენ მხოლოდ ერთადერთია — თუკი ყოველ სამ საათში 90 წამს სოციალური რეკლამისთვის უფასოდ გამოყოფენ, სერიოზულად იზარალებენ... (წარმოგიდგენიათ, წუთნახევრში, თურმე, რა თანხებს აკეთებენ?).

„რეგიონული მედიის ასოციაციის“ დირექტორი ნათია კუპრაშვილი ამბობს, რომ ზოგადად „სოციალური რეკლამის“ შესახებ ცვლილება კანონში დაგვიანებულია, რეგულაციები კი — მოძველებული. ის ვერ უპასუხებს მედიის თანამედროვე გამოწვევებს — ციფრულ მაუწყებლობასა და ონლაინ პლატფორმაზე გადასვლას. კანონის ფრაგმენტული ცვლილებები კი რეალურად არაფერს ცვლის“. ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ მედიამფლობელები დაფრთხნენ...

თეა მოსია

საქართველო ჭრაღიციული მედიცინის სამშობლო

ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

„ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება



კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია **„ფერდის“ და „სალხინოს“** ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩინათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება **„ფერდის“ და „სალხინოს“** კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში — 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

„ფერდი“ და „სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

აღგზნებული ტიპი აფთიაქში შეიჭრება:

— ჩემს სიდედრს თაგვის საწამლავით სურს თავის მოკვლა!

— სამწუხაროდ, არა გვაქვს ამ საწამლავის საწინააღმდეგო შრატი.

— რა შუაშია შრატი? თაგვის საწამლავი მინდა!

* * *

— თქვენ ისეთი მომხიბლავი ქალი ბრძანდებით! **სად არის ის პატარა დეფექტი, რომელზეც საქორწინო განცხადებაში წერდით?**

— სკოლაში.

* * *

— რატომ გახდა ენაბლუ პეტკა ქორწინების შემდეგ?

— მის სიდედრს სამი ტყუპისცალი და ჰყოლია... საწყალმა პეტკამაც ერთბაშად ოთხი სიდედრი რომ დაინახა...

* * *

— ერთხელაც, მოულოდნელად ვბრუნდები მივლინებიდან, **— უყვება გამობრუჟული ტიპი თანამეინახეს ლუდხანაში, შევდივარ ბინაში და მაშინვე კარადას ვეცემი. ცარიელია. საწოლქვეშაც სიცარიელეა, მაცივარშიც? არაფერი არ არის...**

— ცოლი რას ამბობს?

— სად მყავს ცოლი, მარტოხელა ვარ. ბინა გაუქურდავთ.

* * *

სისულელეა ბნელ ოთახში **შავი კატის ძებნა. მით უფრო, თუ იგი იქ არ არის.**

მით უფრო დიდი სისულელეა ბნელ ოთახში შავი კობრის ძებნა. მით უფრო თუ იგი იქ არის.

— ხელს ხომ არ გიშლით ჩემს შლაპაზე დამაგრებული ფრთა? — ეკითხება ქალი მაყურებელთა დარბაზში თავის უკან მჯდომ მამაკაცს.

— არა! იგი კარგა ხნის წინათ დავაჭერი და ახლა ყველაფერს საუცხოოდ ვხედავ!

* * *

...ახლა კი სიცრუის დეტექტორს სისხლს ჩამობანენ და იგი სულ მალე მზად იქნება მუშაობისთვის.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქოგულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24